ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 5 ოქტომბერი, 2018 | №236 (7781) | ფასი: 60 თეთრი

ტყვია-წამლით უკანონოდ ვაჭრობა — ჯარისკაცების სკანდალი, რომელიც მინისტრმა იზორიამ დამალა

გვ.7

„მთავარია, ის 4 მილიონი ვის მისცეს“

გვ.3

ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“, შესაძლოა, არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოს

ვახტანგ ძაბირაძე: „ამ კითხვაზე პასუხი ყველაფერს ნათელს გახდის“

შეხვედრას აღიარებს ყველა მხარე – ოქუაშვილიც, ყიფიანიც, გახარიაც და ივანიშვილიც. აქ პრობლემა ის კი არ არის, რაზე ილაპარაკეს ამ შეხვედრაზე. პრობლემა არის ის, ამ შეხვედრას რა სტატუსით ესწრებოდა ივანიშვილი. შეხვედრის დროს ივანიშვილს არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა. გამოდის, რომ არსებობს ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები და არსებობს არაოფიციალური, რომელსაც უფრო მარტივად შეუძლია საქმეების მოგვარება. ეს არის აღიარება, რაც ძალიან ცუდია

გვ.2

შალვა შავგულიძე: „ლევან ყიფიანის განცხადების შინაარსი ნაკლებად სარწმუნოა“

„ხელისუფლებამ ის ტოტი მოჭრა, რომელსაც ეყრდნობოდა“

ემზარ კვიციანი: „თუ „ქართული ოცნება“ მხარს არ დაგვიჭერს, თავის თავს დააბრალოს“

გვ.4

არასამთავრობოები სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ

„თავი შეიკავოს ქსენოფობიური განცხადებებისგან!“

გვ.2

ჯემალ გამახარია: „აფხაზებმა ბოდიში უნდა მოგვიხადონ!“

გვ.5

სამართალი გვ.7

„ღამეა, მეშინია, ჩემებს არ სძინავთ“

მკვლელობის ღამეს შეყვარებულმა ანა ნაცვლიშვილს წერილი მისწერა და შეხვედრას სთხოვდა

პაატა ბურჭულაძის მეუღლე ანგელა ვასილენკო სასამართლოში არ მივიდა და საქართველოდან წავიდა

„8 ოქტომბერს ჩამოვალ“

გლდანის ციხის ორმა პატიმარმა ლითონის საგნები გადაყლაპა

ეკონომიკა გვ.6

კომპანია „საქნახშირი“ მაღაროელებს ხელფასს აღარ გადაუხდის

თამაზ გაიაშვილი: „მინა წამართვეს და გამიყიდეს“

რა გავლენა ექნება თურქეთის კრიზისს საქართველოზე?

ISSN 1987-9385

3 „იზორიამ ვაზნების საქმეზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს!“

4 შეაჩერებს თუ არა ნატო საქართველოს მოსახლეობის გატაცებას ოკუპირებულ რეგიონში?

7 ზაზა ოქუაშვილის მეგობარი პოლიციაში 3 წლის წინანდელ საქმეზე გამოკითხეს

6 კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელსა და დირექტორს ბრალი წარედგინათ

შალვა შავგულიძე: „ლევან ყიფიანის განცხადების შინაარსი ნაკლებად სარწმუნოა“

„ხელისუფლებამ ის ტოტი მოჭრა, რომელსაც ეყრდნობოდა“

იავო ნაცვლიშვილი

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სპორტის ყოფილი მინისტრის ლევან ყიფიანის იმ განცხადებებს აფასებს, რომლებიც მან ომეგა ჯგუფის საქმეზე გააკეთა.

„ამ კომპანიაში ვმუშაობდი 2015 წლიდან. ჩემი მოვალეობა იყო, დამემყარებინა კონტაქტი ხელისუფლებასთან. ჩვენ ერთობლივი გეგმა გაგვაჩნდა, ზაზა ოქუაშვილმა ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას მითხრა, რომ მისი ბიზნესი წნეხს განიცდის უცხოელი პარტნიორებისგან და საქართველოში ბიუჯეტთან დაკავშირებით. მან დახატა სცენარი, რომ ჩაგვეწერა მაკომპრომეტირებელი მასალა შიდა მოხმარებისთვის, რითიც ის დაარწმუნებდა უცხოელ პარტნიორებს, რომ ხელისუფლება მასზე წნეხს ახორციელებდა და იმ ვალდებულებებისგან გაათავისუფლებდა, რაც მათთან ჰქონდა.

მან მითხრა, რომ მივიღებდი დავალიანებას, რომელიც ჩემ მიმართ ჰქონდა, თუ ხელს შევუწყობდი ამ ჩანაწერების გაკეთებაში. ფარცხალაძის მხრიდან ზეწოლაზე საუბარი შეურაცხმყოფელი და სიცრუეა, ასეთი რამე არ ყოფილა, ფარცხალაძესთან მაქვს ნორმალური ურთიერთობა, – განაცხადა ლევან ყიფიანმა.

– ბატონო შალვა რა შეფასებას გააკეთებთ ლევან ყიფიანის განცხადებებთან დაკავშირებით?

– ამ საქმესთან დაკავშირებით დეტალები არ ვიცი. მე არ შევალ იმის მსჯელობაში, ყიფიანის რომელი განცხადება მიმაჩნია ტყუილად და რომელი – არა, ვინაიდან არ ვიცი, ამ გამონათქვამებიდან რომელია სიმართლე და რომელი – არა.

სიმართლე, რაც საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი, მდგომარეობს იმაში, რომ, სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმდენად მოიშალა ინსტიტუციების თვალსაზრისით, რომ სარწმუნოება აბსოლუტურად დაკარგული აქვს საზოგადოებას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

ვისმენთ უმრავლესობის მხრიდან განცხადებებს, რომ უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, მაგრამ რომელ გამოძიებასა და სასამართლოზეა ლაპარაკი?! რომელიც საზოგადოების განცდით მხოლოდ „ქართული ოცნების“ ინტერესებს ემსახურება და არა სამართალს?

გვაქვს სხვა მაგალითებიც, როგორც ცდილობს მედიაზე სრული კონტროლის მოპოვებას, როგორც ცდილობდა ყველა ინსტიტუციაზე კონტროლს, ლოგიკურია, ის შეეცდებოდა ბიზნესის გაკონტროლებასაც.

თავად ყიფიანის ეს განცხადებაც ნაკლებად დამაჯერებელი განცხადების შთაბეჭდილებას ტოვებს. ხელისუფლების უნდობლობის გამო საზოგადოება ვერც ამას მიიღებს სარწმუნოდ.

– როდესაც ყიფიანის მისამართით გაისმა ბრალდებები, ის საზოგადოების წინაშე არ გამოსულა და არ უთქვამს, რომ გავრცელებული ცნობები სიცრუე იყო. ამისთვის მას რამდენიმე დღე დასჭირდა.

– ეს გარემოებაც მოქმედებს, რომ ყიფიანის მხრიდან ახსნა-განმარტება საზოგადოებისთვის გვიან გაკეთდა.

მაგრამ, ვიმეორებ, ყიფიანის სარწმუნოებაზე უფრო მნიშვნელოვანი აქ არის ის კრიზისი, რომელიც ხელისუფლების მიმართ არსებობს და ტოტალური უნდობლობა ჩამოაყალიბა ინსტიტუციების მიმართ. მოვისმინეთ ყიფიანის უსუსური განცხადებები, რაც ნამდვილად ვერ შეცვლის სურათს და უნდობლობას ვერ გამოასწორებს.

„ქართული ოცნება“ დაადგა პარტოკრატიის გზას, რასაც არაფორმალური, ერთპარტიული მმართველობით ახორციელებს. ეს არ არის დემოკრატია. ეს არის კრიზისი, რომლისგანაც თავის დაღწევა მხოლოდ ინსტიტუციების დამოუკიდებლობითა და ურთიერთკონტროლის მექანიზმით მიიღწევა.

ვსვამ კითხვას, დაადგება ხელისუფლება ამ გზას? ეს ნაკლებად შესაძლებლად მიმაჩნია.

– ყიფიანის ადვოკატმა განაცხადა, რომ ზაზა ოქუაშვილს უჩივლებს სასამართლოში. ჯერჯერობით ცნობილია პატივისა და ღირსების შელახვის მუხლი. როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება და როგორ ფიქრობთ, ხომ არ წაუყენებენ ოქუაშვილს ბრალდებას?

– არ ვიცი, როგორ იმოქმედებენ და საით წაიყვანენ საქმეს. ზაზა ოქუაშვილს რა ბრალდებებიც არ უნდა წაუყენონ, საზოგადოებისთვის სარწმუნო არ იქნება, იქნება ეს ბრალდება წარდგენილი დასწრებულად თუ დაუსწრებლად.

„ქართულმა ოცნებამ“ თავი ძალიან ცუდ დღეში ჩაიყენა. მათ ეგონათ, რომ ეს სწორი გზა იყო და ასე შეძლებდნენ ყველაფრის კონტროლს. ეს არის იმ ტოტის მოჭრა, რომელსაც ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს. მათ მოჭრეს ეს ტოტი, ალბათ უკვე ისე, რომ მისი გაცოცხლება შეუძლებელია.

– თქვენ, როგორც იურისტსა და პოლიტიკოსს, კითხვები ზაზა ოქუაშვილის მხარესთანაც ხომ არ გაქვთ?

– საქმის დეტალებში არ ვარ ჩახედული, რომ კონკრეტულად ვისაუბრო. რამდენადაც სამართლებრივ მხარეს არ ვიცნობ, ამაზე საუბრის სურვილიც არ მაქვს.

ერთი რამე ცხადია, თუკი არსებობს დავალიანება ბიუჯეტის წინაშე, მას გადახდა უნდა. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს დავალიანება არ არის წარმოქმნილი ხელისუფლების მიერ ხელოვნურად ხელის შეშლის გამო ამ კონკრეტული კომპანიებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ამ დავალიანებას გადახდა უნდა.

მაგრამ მე არ ვიცნობ ამ საქმის სამართლებრივ მხარეს და უფრო მეტს ვერ ვიტყვი. თუმცა, არსებობს საერთაშორისო სასამართლოები და ალბათ ომეგა ჯგუფი მიმართავს საერთაშორისო სასამართლოებს.

– ზაზა ოქუაშვილმა ისიც თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ საფრანგეთის სასამართლოს მიმართავს.

– მე არ ვიცი, საფრანგეთის სასამართლოს რა სტატუსი ექნება, რა საკითხს განიხილავს, რამდენად მოექცევა მისი იურისდიქციის ქვეშ. შესაძლოა, ივანიშვილის საკითხი მოექცეს, რადგან ის საფრანგეთის მოქალაქეა, მაგრამ მთლიანად ეს დავა რამდენად მოექცევა, არ ვიცი.

არც ის ვიცი, ლონდონის სასამართლოს იურისდიქციაში რამდენად მოექცევა ეს საქმე, რამდენად ვალდებულები იქნებიან საქართველოს საჯარო მოხელეები, რომ იქ მისცენ ჩვენება.

მაგრამ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლო. ამ პრობლემას მთლიანობაში უნდა აღწერა და იქ არის საჭირო პოზიციების დაცვა. წინა ხელისუფლების დროს ასევე გვეუბნებოდნენ, დაველოდოთ გამოძიებასა და სასამართლოსო. ვინაიდან ასევე იყო უნდობლობა, სწორედ ამიტომ მივმართავდით ხოლმე ევროპულ სასამართლოს და იქ ვაღწევდით სამართლის დადგენას. ასე მოხდა გირგვლიანისა და ბევრ სხვა გახმაურებულ საქმეზე.

ეს სამართლებრივი საქმეა, მაგრამ ხელისუფლებას უფრო მეტი აქვს საფიქრალი, ვიდრე ერთი კრიზისი და პრობლემაა. ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ, მართალი რომც იყოს ის, საზოგადოებას მაშინაც კი აღარ სჯერა მისი. ამ გზას რომ დაადგა „ქართული ოცნება“ თავის დროზე, სწორედ ამიტომ წამოვედით კოალიციიდან თავისუფალი დემოკრატები.

არასამთავრობოები სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ

„თავი შეიკავოს ქსენოფობიური განცხადებებისგან!“

შორენა მარსაგიშვილი

სალომე ზურაბიშვილის განცხადებები სოციალურ ქსელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ მისი ნათქვამი ყოველთვის სასაცილო არ არის. 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყება რომ ქართულ მხარეს დააბრალა, ამას რაღაცნაირად შევეგუეთ, მაინც წარსულია და მაგიტომ.

მისმა ბოლო განცხადებამ კი, შესაძლოა, საქმე ეთნიკურ კონფლიქტამდე მიიყვანოს. ამ დღეებში პრეზიდენტობის კანდიდატი ჯავახეთის რეგიონს სტუმრობდა და ნინოწმინდაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას ეთნიკურ სომხებს ასე მიმართა: „წინა პრეზიდენტმა თურქებს საქართველოს მოქალაქეობა მისცა, თქვენ კი არა“.

ამ განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მკვეთრად უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. პოლიტიკის აზრზე თუ ხარ, უნდა მიხვდე, რას ნიშნავს ჯავახეთში ასეთი განცხადების გაკეთება.

როდესაც ამ განცხადებას აკეთებდა, ყოფილ დიპლომატს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია.

ამის გარდა, მას ისიც უნდა ეცოდეს, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან სომხები და თურქები.

მან ისიც უნდა იცოდეს, რომ რუსეთი დიდი ხანია ჯავახეთში სიტუაციის არევას ცდილობს, დიდი ხანია ცდილობენ, ადგილობრივებს ათქმევინონ რომ ქართველები ავიწროებენ.

ზურაბიშვილის სახიფათო განცხადებები არასამთავრობოების თვალთახედვის არეალშიც მოხვდა. ისინი სალომე ზურაბიშვილსა და არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ქსენოფობიური, რასისტული და დისკრიმინაციული განცხადებებისგან.

– არასამთავრობო ორგანიზაციები ვეხმაურებით და ვგმობთ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის ქსენოფობიურ განცხადებას. 2 ოქტომბერს ნინოწმინდაში, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ადგილობრივ ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებთან შეხვედრისას ზურაბიშვილმა განაცხადა: „აქამდე მოქალაქეობა იყო მხოლოდ მინიჭებით, მხოლოდ პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილებით და ერთმა პრეზიდენტმა (მიხეილ სააკაშვილი), ძალიან ბევრი მოქალაქეობა დაურიგა თურქებს, დღეს მისი წარმომადგენელი არის ჩემი ოპონენტი, მაგრამ თქვენ არ მოგცათ მოქალაქეობა“. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადება ხელს უწყობს შუღლის გაღვივებას, ეწინააღმდეგება ლიბერალური დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ახდენს ისტორიული კონფლიქტის თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სახიფათო პრობლემატიზაციას.

განცხადება აგრეთვე შეიცავს უკანონო აგიტაციის ნიშნებს, კერძოდ: „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით, მართალია, საარჩევნო სუბიექტებს უფლება აქვთ, რომ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით, თუმცა საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას, – ნათქვამია არასამთავრობოების განცხადებაში.

მათივე განმარტებით, ეს არ არის სალომე ზურაბიშვილის პირველი რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის განცხადება.

– 2013 წლის 31 იანვარს საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე მან ჩინელებთან დაკავშირებით დაწერა: „ჩინელები არ კვდებიან. ერთი პირადობის მოწმობით ან პასპორტით სარგებლობს რამდენიმე ადამიანი სანათესაოდან და ვინ გაარჩევს? როცა გგონია, რომ ათი შემოვიდა, სინამდვილეში 100-მდე შეიძლება იყვნენ“. ერთ-ერთ განცხადებაში კი განაცხადა, რომ უცხოელებმა „ჩილიმების ქუჩად არ უნდა გადააქციონ შარდენი და აღმაშენებელი, – ნათქვამია განცხადებაში.

არასამთავრობოები სახელისუფლებო გუნდის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის აღნიშნულ განცხადებას ანტისახელმწიფოებრივად და სახიფათოდ მიიჩნევენ.

– უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები, ასევე არჩევნებში მონაწილე სუბიექტები ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას და მიზანმიმართულად ავრცელებენ ქსენოფობიურ განცხადებებს, თუმცა სახელისუფლებო გუნდის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის აღნიშნული განცხადება განსაკუთრებით სახიფათო და ანტისახელმწიფოებრივია.

ჯანსაღი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. ხელმომწერი ორგანიზაციები ვგმობთ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, ასევე მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ადგილი აქვს აგიტაციას კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ: სალომე ზურაბიშვილს, არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატსა და პოლიტიკურ ძალას, პატივი სცენ კანონს და თავი შეიკავონ ქსენოფობიური, რასისტული და დისკრიმინაციული განცხადებებისგან. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას – შეისწავლოს განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, – ვკითხულობთ 16 არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივ განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მთავარია, ის 4 მილიონი ვის მისცეს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ამ კითხვაზე პასუხი ყველაფერს ნათელს გახდის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ომეგა-ჯგუფის საქმე რამდენად შეიძლება იყოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში სისტემური დანაშაულის, კორუფციის გამოვლინების მაგალითი?

– რამდენიმე მაგალითი შემიძლია მოვიყვანო: საზოგადოებაში არის აღქმა, რომ პრემიერი ღარიბაშვილი რეალურად ე.წ. კახური კლანის გამო გადადგა. პრემიერი კვირიკაშვილი უკვე საზოგადოებრივი აზრისა და მედიის აღქმით კი არა, თავად ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, 700 თუ 800 მილიონ ლარს გადაჰყვა, რომელიც, მათივე თქმით, სადღაც გაქრა. ამ საქმის ირგვლივ ძიება არის ქუმსიშვილთან, ალავიძესთან თუ ჯანელიძესთან დაკავშირებით.

თუ ღარიბაშვილის ირგვლივ ასეთი მყარი არგუმენტები და მტკიცებულებები არ იყო და ეს უფრო ოპოზიციური მედიის შტურმი იყო, ეს ფაქტები უკვე არ არის მოარული

ხმები. ეს არის ის, რის გამოც მოუწია მინისტრების ნახევარს და თავად პრემიერს წასვლა, ყოველ შემთხვევაში, ასე გვეუბნებიან.

მე არ ვიცი, ეს ყველაფერი რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ, როდესაც ამაზე თავად ხელისუფლება ლაპარაკობს და გვეუბნებიან, არავინ იცის, სად გაქრა 800 მილიონიო, იმის თქმა, რომ კორუფციის ნიშნები არ არის, გულუბრყვილობა იქნებოდა.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ მოვლენას, ახლა ამბობენ, ფაქტები მოიტანეთ და დადეთო! არც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ჰქონდა ოპოზიციას ფაქტები და არც შევარდნაძის დროს, რადგან, ფაქტი რომ დადო, სრულფასოვანი გამოძიება უნდა ჩაატარო, რის საშუალება არც არასამთავრობო სექტორს აქვს და არც – ოპოზიციას. სრულფასოვანი გამოძიების ერთადერთი შესაძლებლობა მხოლოდ ხელისუფლებას აქვს.

ძალიან მარტივად ხვდება საზოგადოება, სად არის კორუფცია და როდის არის. შევარდნაძის დროს ინსპექტორი რომ ფულს იღებდა, ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცოდა, ეს იყო თავად ფაქტი. ასევე, სააკაშვილის მმართველობის დროს, ყველამ იცოდა, რომ ელიტური კორუფცია იყო. თუმცა, მაშინაც რთული იყო ფაქტების დადება. დღეს საზოგადოებაში რომ ჩაატაროთ გამოკითხვა, ნახავთ, რომ უკვე საკმაოდ ფესვგადგმულია მოსაზრება, რომ ხელისუფლებაში არის კორუფციული სქემები. ეს განწყობა უკვე არის ადამიანებში და ახლა ეს არის მნიშვნელოვანი.



შეხვედრას აღიარებს ყველა მხარე – ოქუაშვილიც, ყიფიანიც, გახარიაც და ივანიშვილიც. აქ პრობლემა ის კი არ არის, რაზე ილაპარაკეს ამ შეხვედრაზე. პრობლემა არის ის, ამ შეხვედრას რა სტატუსით ესწრებოდა ივანიშვილი. შეხვედრის დროს ივანიშვილს არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა. გამოდის, რომ არსებობს ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები და არსებობს არაოფიციალური, რომელსაც უფრო მარტივად შეუძლია საქმეების მოგვარება. ეს არის აღიარება, რაც ძალიან ცუდია

– ოქუაშვილი ამბობს, რომ ლონდონისა და პარიზის სასამართლოებისთვის აპირებს მიმართვას. რა გავლენას იქონიებს ეს ქვეყნის იმიჯზე?

– რასაკვირველია, ეს არ არის ქვეყნის იმიჯისთვის კარგი, როდესაც ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები არიან საქმეში გარეული. თუმცა, დასავლეთისთვის ასეთი სკანდალები დიდად უცხო და მოულოდნელი არ არის, თუნდაც პრეზიდენტ სარკოზის პროცესებს თუ გავიხსენებთ.

აქ პრობლემა სხვა რამეშია, დასავლეთში სასამართლოსი ხალხს სჯერა ისე, რომ ეჭვის შეტანაც კი არ უწევთ. პროცესები მიდის ღიად და ძალიან მშვიდად, სარკოზის საქმე იქნება თუ ვინც არ უნდა იყოს. ჩვენთან მიმართებით ამ სასამართლო პროცესებმა შეიძლება ძალიან რთული სახე მიიღოს, რადგან უნდობლობა ძალიან მაღალია მისდამი. ეს არის პრობლემა.

ამ ქვეყანაში ადამიანებს უკვე ნახევარი საუკუნეა, ესმით ტრაფარეტად ქცეული ფრაზა: „ვაცალოთ გამოძიებას!“ თუნდაც ამ ხელისუფლების პირობებში რამდენჯერ ითქვა, რომ „ვაცადოთ გამოძიებას!“ ეს არის სერიოზული პრობლემა.

არ მახსოვს ამ ქვეყანაში რეზონანსული საქმე, რომელიც ბოლომდე გამოძიებულიყოს. იწყებოდა გამოძიება, რომელიც თაროზე შემოიდებოდა, ამასობაში იცვლებოდა ხელისუფლება და, თუ ახალ ხელისუფლებას მოუნდებოდა, გააცოცხლებდა ამ საქმეს, თუ არადა, ისევ ასე თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

– ბატონო ვახტანგ, მთელი ამ პროცესებიდან თქვენ რა დასკვნა გამოგაქვთ?

– მე როგორც ვხედავ, ოქუაშვილს მართლაც აქვს 51 მილიონი ბიუჯეტში გადასახდელი. თუმცა, აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. შეხვედრას აღიარებს ყველა მხარე – ოქუაშვილიც, ყიფიანიც, გახარიაც და ივანიშვილიც. აქ პრობლემა ის კი არ არის, რაზე ილაპარაკეს ამ შეხვედრაზე. პრობლემა არის ის, ამ შეხვედრას რა სტატუსით ესწრებოდა ივანიშვილი. შეხვედრის დროს ივანიშვილს არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა. გამოდის, რომ არსებობს ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები და არსებობს არაოფიციალური, რომელსაც უფრო მარტივად შეუძლია საქმეების მოგვარება. ეს არის აღიარება, რაც ძალიან ცუდია.

კიდევ ერთი: მე ნაკლებად მაინტერესებს, რამდენად დაიცვეს ბანკის რეგულაციები, როდესაც 4 მილიონი გაიტანეს. ეს 4 მილიონი ხომ გაიცა, ახლა მნიშვნელოვანია, სად წავიდა, ვის მისცეს ეს 4 მილიონი?! თუ დავადგენთ, ვინ აიღო ეს 4 მილიონი, ყველაფერს ფარდა აეხდება და დალაგდება, მერე უკვე არც ავთენტურობას ექნება მნიშვნელობა და არც ამის თუ იმის განცხადებებს.

– უკვე მერამდენე ეპიზოდს უკავშირდება ყოფილ მთავარ პროკურორ ფარცხალაძის სახელი. როგორც ოქუაშვილი ამბობს, არსებობს შეიარაღებული ხალხი, რაღაც სარდაფი, თუმცა, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი, დადგენილი არ არის. არის ამ ხელისუფლების პრობლემა ფარცხალაძე?

– ასეთი პიროვნებები ყველა ხელისუფლების პირობებში თავად ხელისუფლების მიერ იყო და არის ხელდასხმული. სხვანაირად ეს ადამიანები და ჯგუფები არაფერს წარმოადგენენ. მაგალითად, მხედრიონი სანამ შევარდნაძეს სჭირდებოდა, მხედრიონობდა, როდესაც არ დასჭირდათ, მისი ლიკვიდაცია ერთ დღეში გახდა შესაძლებელი.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფარცხალაძე დამოუკიდებლად, თავისი ნება-სურვილით მოქმედებს, ასეთი გულუბრყვილო არავინ მეგულება. მე არ ვიცი, ეს ფაქტები, რაც ითქვა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს და რეალობას, მაგრამ ერთი რამ ვიცი, ამ კაცის გვარი სხვადასხვა საქმეში ფიგურირებს და თან ძალიან ხშირად. თუ ეს ყველაფერი რეალობას შეესაბამება, გამოდის, რომ ის ხელისუფლებას სჭირდება.

– და ეს სახელმწიფოს რამდენად უქმნის პრობლემას?

– სახელმწიფოს არ უქმნის, სახელმწიფოს ერთი ფარცხალაძე კი არა, ასი ფარცხალაძე ვერ შეუქმნის პრობლემას. პრობლემას თავად იმ პოლიტიკურ ძალას უქმნის, რომლისადმიც ასეთი ფიგურები და მათი „მოგვარებული“ საქმეები ხალხის განწყობებს ცვლიან.

– ამას ვერ აცნობიერებენ?

– თუ სჭირდებათ?! მხედრიონის პრობლემასაც მშვენივრად აცნობიერებდნენ, მაგრამ მაშინ სჭირდებოდათ. როგორც კი აღარ დასჭირდათ, ერთ დღეში გააქრეს.

„იზორიამ ვაზნების საქმეზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს!“

გულიკო ბალაძე

სამხედრო პოლიციამ საბრძოლო ვაზნების უკანონოდ რეალიზაციის ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს 3 თანამშრომელი დააკავა. ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ **ვახტანგ მაისაიას** ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, სამხედრო პოლიციამ სამი პირი დააკავა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბაზიდან საბრძოლო ვაზნების უკანონო რეალიზაციის ფაქტზე. ასეთ ფაქტებზე თქვენი შეფასება როგორია?

– ფაქტი რომ გამოვლინდა და დააკავეს, კარგია, მაგრამ ძალიან ცუდი ტენდენციაა. ეს სერიოზული სიგნალია.

– რის სიგნალია?

– ეს არის თავდაცვის პოლიტიკისა და თავდაცვის მართვის სისტემაში სერიოზული გადაცდომების სიგნალი. ამას აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება მაღალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. ასე გაგრძელება არ შეიძლება. ან უნდა შეიცვალოს მენეჯმენტი – თავდაცვის მინისტრი და მისი მოადგილეები, ან სხვაგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

– კერძოდ, როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული?

– საკმაოდ მკაცრი ზომები უნდათ მიიღონ. ალბათ, საჭიროა ავტორიტეტული ვინმე, რომელიც სამხედროებისთვის იქნება მისაღები.

– რას გულისხმობთ?

– თავდაცვის მინისტრად ავტორიტეტული პიროვნების დანიშვნას, რომელიც ასევე იქნება კომპეტენტური.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლევან იზორიამ და ამ მენეჯმენტმა ერთგვარი წმენდასავით ჩაატარეს, თავდაცვის სამინისტროს სისტემიდან ბევრი ვინმე გამოუშვეს. ამაზე დიდი უკმაყოფილება იყო.

– კადრების ოპტიმიზაცია და ახალი კადრების მიყვანა იმ პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაა, რომელიც თავდაცვის სამინისტროშია. თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური ხელმძღვანელობის არასწორმა საკადრო პოლიტიკამაც მოგვცა ეს ტენდენცია.

კარგია, რომ დანაშაულის ფაქტები გამოვლინდა, მაგრამ თვითონ თავდაცვის სისტემაში გამოვლენილი ეს ფაქტი უკვე სერიოზულ პრობლემებზე მეტყველებს.

ედუარდ შევარდნაძის ბაკქანალიის პერიოდშიც მოხდა საბრძოლო შეიარაღების გაყიდვის ფაქტი. ალასანიას დროსაც იყო მსგავსი ფაქტი. აქედან ჩანს, რომ თავდაცვის სამინისტროში უნდა მოვიდნენ სერიოზული, პატრიოტი პროფესიონალები.

– მიხეილ სააკაშვილის დროს არ ხდებოდა მსგავსი ფაქტები?

– მიხეილ სააკაშვილის დროს თავდაცვის მინისტრები იარაღით ვაჭრობის ბიზნესში იყვნენ ჩართული. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება იყო რეჟიმი და იყო ელიტური კორუფცია, რომელიც თავდაცვის სისტემაზე, როგორც კიბო, ისე იყო ჩაბღაუჭებული. საჭიროა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. უნდა გათავისუფლდეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, რადგან თავდაცვის მართვის სისტემაში სერიოზული პრობლემებია.

– თქვენ მართვის სისტემის პრობლემაზე მიუთითებთ, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის სამხედროების მიერ ხდებოდა საბრძოლო ვაზნების უკანონო რეალიზაცია.

– ეს უკვე სერიოზული გადაცდომაა. თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საკადრო პოლიტიკაში სერიოზული შეცდომები აქვს დაშვებული.

– ე.ი. თავდაცვის სამინისტროში კადრების პრობლემაა.

– რა თქმა უნდა. მიხეილ სააკაშვილის დროს ჰქონდათ დაწყებული, მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამაც ვერ გამოასწორა.

– თქვენ თავდაცვის მინისტრის შეცვლის საჭიროებაზე მიუთითეთ.

– საკმაოდ ბევრი შეცდომაა დაშვებული.

– თავდაცვის მინისტრის შეცვლის აუცილებლობა არის?

– თუ ასეთ გადაცდომას ჰქონდა ადგილი, ეს არის სერიოზული გადაცდომა, რაზეც პასუხისმგებლობა თავის თავზე მაღალი თანამდებობის პირმა უნდა აიღოს. მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას.

– პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია?

– ბუნებრივია. ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში ასეთი გადაცდომის შემთხვევაში თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგებოდა. ეს მისი მთავარი პრობლემაა.

– იზორია ამის გამო გრძნობს პასუხისმგებლობას?

– ვერ გეტყვით, იზორია პასუხისმგებლობას გრძნობს თუ არა. არა მგონია, იზორია პასუხისმგებლობას გრძნობდეს.

– ამ პირების დაკავება მოხდა აგვისტოში. წინასაარჩევნოდ მაინც რატომ გამოამზეურეს?

– გამოამზეურეს იმიტომ რომ, ჯერ ერთი, თემაა ძალიან სპეციფიკური და ძალიან სერიოზული, მეორეც – სანამ გამოძიებამ არ დაადგინა ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები და დაკავშირებული პირები, არ განაცხადა. ფაქტები რომ დაადგინეს, შემდეგ განაცხადეს.

ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“, შესაძლოა, არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოს

ემზარ კვიციანი: „თუ „ქართული ოცნება“ მხარს არ დაგვიჭერს, თავის თავს დააბრალოს“

შორენა მარსაგიშვილი

– ამ დადგენილების მიღებამ რა შეცვალა? ნაციონალების დროს ადამიანებს რომ აწამებდნენ, ეგ ხომ ისედაც ვიცოდით.

– როგორ არ ვიცოდით და მართლა არაფერი შეიცვალა ამ დადგენილების მიღებით. ხელისუფლება პოლიტკორექტულობის ჩარჩოებშია მოქცეული და ცდილობს, ეს დამნაშავეები მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოაჩინოს.

– თქვენ მიერ მომზადებული რეზოლუციის მიღების შემთხვევაში რა შეიცვლება.

– ყველაფერი.

– კონკრეტულად?

– იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ჩვენს მიერ მომზადებულ რეზოლუციას მიიღებს, ნაციონალებს პოლიტიკური მოღვაწეობა აეკრძალებათ. ჩამოთვლილი გვაქვს დანაშაულები და უბედურებები.

ამ ჩამონათვალში რატომღაც არ იყო 2006 წლის კოდორის მოვლენები, რომელსაც რეზოლუციაში აუცილებლად შევიტანთ.

მიზეზი ვერ დავადგინე, მაგრამ რატომღაც ყველა ერიდება ამ თემაზე საუბარს. არადა, ეს იყო მთავარი უბედურება.

მაშინ სააკაშვილმა და მისმა ბანდამ კონსტიტუციის 73-ე და 100-ე მუხლი დაარღვია. კოდორში მოსკოვის ოთხმხრივი ხელშეკრულების გაუქმების გარეშე შემოცვივდნენ. ეს, იცით, რატომ გააკეთეს? მერე რუსებისთვის ხეობაში შემოსვლის ლეგიტიმაცია და ამ ტერიტორიის წაღების უფლება რომ მიეცათ.

იგივე უბედურება ჩაიდინეს 2008 წელს ცხინვალის რეგიონში და იქაც იარაღით შეცვივდნენ.

– ცხინვალი საქართველოს ტერიტორია იყო და რატომ არ უნდა შესულიყვნენ?

– საქართველოს ტერიტორიაა ახლაც, მაგრამ მას იმ მომენტისთვის სხვა აკონტროლებდა. იქ შევარდნა საქართველოს კარგს არაფერს მოუტანდა. ამ შევარდნით რუსებს ცხინვალის რეგიონის წაღების შესაძლებლობა მიეცათ.

ახლა ვამტკიცებთ, რომ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია და რუსეთს თავზე არ დავსხმივართ. არადა, სწორედ რომ რუსეთის მხარეზე ხარ თავდასხმული.

– რუსეთს რანაირად დავესხით თავს? ცხინვალი საქართველოს ტერიტორიაა.

– საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ მაინც რუსეთს დაესხი თავს.

– რანაირად?

– ეგეც ეშმაკურად იყო მოფიქრებული და ახლავე აგიხსნით. 2008 წლის ივლისში საქართველოს ხელისუფლებამ რუს სამშვიდობოებს ცხინვალის რეგიონში ყოფნის ვადა გაუგრძელა, აგვისტოში კი თავდასხმა მოხდა. რუს სამშვიდობოებზე თავდასხმა მოსკოვმა რუსეთზე თავდასხმად აღიქვა.

მოკლედ და კონკრეტულად რომ გითხრათ, ნაციონალები მთლიანად რუსეთის სპეცსამსახურების დავალებითა და მითითებით მოქმედებდნენ. სააკაშვილი სულ კრემლის დავალებების შემსრულებელი იყო.

– სააკაშვილი თუ კრემლის დაკვეთების შემსრულებელი იყო, რატომ არ წერს „ოცნება“ ამას რეზოლუციაში? ეს ხომ მათ ინტერესებშია?

– ხომ გითხარით, რომ რაღაც ჩარჩოებში სხედან და ვერ ამოდიან იქიდან, მაგრამ ნელ-ნელა ამოვიყვანთ. ზოგიერთი უკვე ამოვიდა.

– ვინ ამოვიდა ამ ჩარჩოებიდან?

– მაგალითად, ეკა ბესელია. ეკას მიაჩნია, რომ რეზოლუციაში ყველაფერი უნდა ჩაიწეროს, რაც ნაციონალებმა ჩაიდინეს. ეკა ძალიან გაბედული და სამართლიანი გოგოა.

– თქვენ და ეკა ბესელია ხშირად ხართ ერთ პოზიციაზე. ის ბევრ რამეში გეთანხმებათ ხოლმე.

– ეკაზე სამდურავს ვერ ვიტყვი. ორმაგ მოქალაქეობაზე რომ ვიბრძოდით, მაშინაც მაგრად დაგვიჭირა მხარი ამ ქალბატონმა. სასიამოვნოა, რომ მმართველ პარტიაში არის ხალხი, რომლებიც სიმართლისთვის იბრძვიან.

– ბესელიას გარდა, სხვებს არ უნდათ სიმართლისთვის ბრძოლა?

– ვიღაცას არ უნდა, მაგრამ უმეტესობა ვერ ახერხებს, ჩარჩოებია დასამტვრევი, რასაც პატრიოტთა ალიანსი გააკეთებს.

ახლა რეზოლუცია ერთი რამის გამო შეფერხდა. ჩვენი ირმა ინაშვილი ითხოვს, რომ ნაციონალები, როგორც დამნაშავე რეჟიმი, ისე უნდა შეფასდეს. მე მიმაჩნია, რომ მათ ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი უნდა მივანიჭოთ.

– ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი რატომ უნდა მიანიჭოთ?

– ტერორისტები არიან და იმიტომ. ადამიანებს ხოცავდნენ, ტერორისტები მეტს კი არაფერს ჩადიოდნენ, თან ხომ იცით, რასაც ნიშნავს ტერორი.

– ტერორ ლათინური სიტყვაა და შიშს ნიშნავს.

– აგაშენათ ღმერთმა. მერე, არ აშინებდნენ ხალხს? დატერორებული და აწიოკებული ჰყავდათ ქვეყანა. მათ აუცილებლად უნდა აგონ ამაზე პასუხი. ამისთვის ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ. ნაციონალებს არჩევნებში მონაწილეობა უნდა აეკრძალოთ და აეკრძალებათ კიდევაც.

– დარწმუნებული ხართ, რომ აეკრძალებათ? წამოვა ამაზე „ოცნება“?

– თუ არ წამოვლენ, თავის თავს დააბრალონ ყველაფერი. ეს ძალა თუ არ აიკრძალა, ქვეყანას სერიოზული პრობლემები შეექმნება. სად გინახავთ, ტერორისტული ორგანიზაცია არჩევნებში მონაწილეობდეს. ცივილიზებული სამყაროო თუ ვართ, ჩვენც უნდა შევეზღუდოთ ტერორისტები.

მგონია, რომ ეს დამნაშავეები 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. დამნაშავეების ადგილი არის ციხეში.

– ყოფილი ხელისუფლება რამდენიმე ნაწილად გაიყო და კონკრეტულად რომლის აკრძალვას ითხოვთ?

– საუბარია 2004-2012 წლების შეფასებაზე. მაშინ ერთად იყვნენ და ერთიანად გასამართლდებიან. მათ არც გაყოფა და არც დაყოფა არ უშველის. ყველაზე მეტად პასუხი მაინც ბოკერიამ და მისმა ხალხმა უნდა აგონ.

მთავარი დამნაშავეები ამ პარტიაში განაწილდნენ. პარლამენტის მიხედვით ასეა. ნაციონალების ფრაქციაში შედარებით სუფთა ხალხია. თინა ბოკუჩავა, ნიკა მელია და სალომე სამადაშვილი გიგა ბოკერიასთან ახლოსაც ვერ მივლენ.

– ვიღაცამ შეიძლება მათ მიმართ სიმპათიებში დაგადანაშაულოთ.

– ეგენი როგორ უნდა მესიმპათიურონ. უბრალოდ, ის გითხარით, რომ ბოკერიასთან ახლოსაც ვერ მივლენ.

– ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით რას ფიქრობენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები?

– არ ვიცი. მოსმენებზე არ მოსულან და ამ თემაზე საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

– პარლამენტში როცა ხვდებით ერთმანეთს, ამაზე არ საუბრობთ?

– საერთოდ არაფერზე ვსაუბრობთ.

– რატომ?

– მაგათ რატომ უნდა ვესაუბრო. მაგათი ადგილი არის ციხეში.

შეაჩერებს თუ არა ნატო საქართველოს მოსახლეობის გაჭაცებას ოკუპირებულ რეგიონში?

მარიამ მჭედლიშვილი

რუსებსა და აფხაზებს უთანხმოება აქვთ

რამდენიმე თვის შემდეგ, 2019 წლის მარტში, საქართველოს ეწვევა ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი. ის გახსნის მორიგ ერთობლივ სამხედრო წვრთნებს.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ საქართველო გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. ისიც ითქვა, რომ საქართველო ნატოში შევა გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებში, ე.ი. ოკუპირებულ ტერიტორიებთან ერთად.

საქართველოს უსაფრთხოებასა და ხალხს პრობლემებს უქმნის არა მხოლოდ ორი რეგიონის ოკუპაცია და იქ რუსული ბაზების არსებობა, არამედ, მოსახლეობის გატაცების, ცემისა და წამების ფაქტები. საზოგადოებას აინტერესებს, შეაჩერებს თუ არა ნატო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმდინარე დაუსჯელ აღვირახსნილობას, იმისდა მიუხედავად, რომ ცხინვალის რეგიონთან მყოფი საოკუპაციო ზოლი დაშორებულია ზღვისპირეთს.

ნატოს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება პრიორიტეტია როგორც საქართველოს, ისე ნატოსთვის. ნატოს გააქტიურება შავი ზღვის რეგიონში უკავშირდება რუსეთის სამხედრო ძალების გაძლიერებას ამ მიმართულებით.

იენს სტოლტენბერგმა ამ დღეებშიც მოუწოდა რუსეთს, ხელი აიღოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებისგან და გაიყვანოს თავისი ძალები ამ რეგიონებიდან.

– საქართველოსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, ვიდრე ადრე გვქონია. ვამზადებთ მესაზღვრეებს, ვაძლიერებთ თანამშრომლობას საზღვაო ოპერაციების განხორციელებისას, – აღნიშნავს ნატოს ხელმძღვანელი.

ნატოს ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ალიანსის ყველა სახელმწიფო მხარს უჭერს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას, თუმცა, გერმანიის კანცლერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის გამონათქვამების გათვალისწინებით, ამის დაჯერება რთულია.

რამდენიმე დღის წინ იენს სტოლტენბერგმა ნატოს სახელით გამოხატა შეშფოთება საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის სამხედრო ჩარევის, ასევე სირიაში ასადის რეჟიმის მხარდაჭერისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში ძალების მობილიზების გამო.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს რომ ნატო შიშის ზარს სცემს, ამაზე გერმანული „შპიგელიც“ წერს:

– საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ სოხუმში იწვევს ახალი სიტუაციის ახალი ესკალაციის შიშს.

ავტორების შეფასებით, გერმანიის ხელისუფლება აფხაზეთს ოკუპირებულად მიიჩნევს, აფხაზებისთვის კი რუსული ბაზის არსებობა სტაბილურობის ფაქტორია.

„შპიგელი“ აფხაზეთს რუსეთის პროტექტორატად მოიხსენიებს. სამხედრო სტრატეგიის თანახმად, ეს რეგიონი რუსეთის პროტექტორატია. აფხაზეთის სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი რუსი გენერალ-ლეიტენანტია.

გერმანელი ავტორების ინფორმაციით, აფხაზები რუსულად საუბრობენ და რუსული რუბლებით ვაჭრობენ. ბიუჯეტის ნახევარი მოსკოვიდან ფინანსდება. ამასთან, იქაურები მუდმივად იმეორებენ, რომ აფხაზეთი რუსეთის მარიონეტი არ არის.

„შპიგელის“ სიტყვებით, აფხაზეთს რუსეთთან გაფორმებული აქვს სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტი, თუმცა შეთანხმება საზღვრის შესახებ არ არსებობს. საზღვარზე მხარეები ვერ თანხმდებიან.



ჯემალ გამახარია: „აფხაზებმა ბოდიში უნდა მოგვიხადონ!“

გულიკო ბალაძე

3 ოქტომბერი გაგრის დაცემის დღეა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** „ახალ თაობას“ ამ ტრაგედიის შესახებ ესაუბრა.

– ბატონო ჯემალ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ატეხილ აურზაურში ძალიან ცოტას თუ ახსენდება, რომ 3 ოქტომბერი გაგრის დაცემის დღეა. გაგრის დაცემით დაიწყო შეუქცევადი პროცესი აფხაზეთის დაცემისა და ამ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვისა. დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ 1992 წლის 3 ოქტომბერს განვითარებულ მოვლენებს? თქვენ თვალწინ მოვლენები როგორ ვითარდებოდა?

– ძალიან ძნელია ამ თემაზე საუბარი, ძალიან მძიმე ასოციაციებს აღძრავს და ძალიან არასასიამოვნო მოვლენები გვახსენდება. არ შემიძლია, თქვენს შეკითხვაზე პასუხი არ დავიწყო შეთანხმებით, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის 1992 წლის 3 სექტემბერს დაიდო. შეთანხმებას ხელს აწერდა რუსეთის მხრიდან ბატონი ელჩინი, საქართველოს მხრიდან – ბატონი შევარდნაძე.

შეთანხმება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ დაიდო მოსკოვში, რომლითაც ვითომ მშვიდობა დამყარდა. მაშინ ჩვენი დელეგაცია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტატაციის ნაწილი იმყოფებოდა მოსკოვში. მეც მქონდა პატივი, ვყოფილიყავი იმ დელეგაციის შემადგენლობაში. ჩვენ იქ 1-2 სექტემბერს რუსულ საზოგადოებას და მოსკოვში აკრედიტებულ უცხოელ ჟურნალისტებს გავაცანით აფხაზეთში მიმდინარე პროცესები. 3 სექტემბერს უმაღლეს დონეზე ხელი მოეწერა შეთანხმებას. ამ შეთანხმებით ომი დამთავრდა.

– მოსკოვში წასულ დელეგაციაში როგორ მოხვდით?

– აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი გაემგზავრა მოსკოვში.

– შევარდნაძესთან ერთად?

– არა, შევარდნაძის დელეგაციაში არ ვიყავით, ცალკე დელეგაცია იყო, რომელშიც შედიოდნენ ყოლბაია, მგალობლიშვილი, ასტემიროვა, ნადარეიშვილი და არძინბა. შეთანხმებას შევარდნაძემ და ელცინმა მოაწერეს ხელი. შემდეგ შეთანხმებას ხელი მოაწერა, როგორც არძინბამ, ასევე ჩვენც და თან ვაწერდით, რომ ვეთანხმებოდით. კიტოვანის ხელმოწერაც იყო. ასევე ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებიც აწერდნენ ხელს, რომ ისინიც აფხაზეთში ომის შეწყვეტას ეთანხმებოდნენ.

– რატომ იყავით დარწმუნებული, რომ ამ შეთანხმებას რუსეთი დაიცავდა და ომს აღარ გააგრძელებდა?

– თქვენ სწორად ბრძანეთ, რომ გაგრის დაცემით იწყება ჩვენი უბედურება და უბედურებების მთელი ჯაჭვი. ეს არის შემდგომი პროცესების დასაბამი. ამას ყოველთვის წინ უძღვის რუსეთთან შეთანხმება და შემდეგ რუსეთის მიერ დადებული შეთანხმების დარღვევა.

რუსეთმა შეთანხმებას ხელი კი მოაწერა, მაგრამ 3 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე პერიოდი გამოიყენა იმისათვის, რომ კარგად მოემზადებინა ოპერაცია გაგრის ასაღებად. ეს დრო კარგადაც გამოიყენეს და რაზმიც მოამზადეს. ქართული მხარე (ჩვენს უმაღლეს ხელმძღვანელობას ვგულისხმობ და არა რიგით მეომრებს, რომლებიც, სამწუხაროდ, განწირული იყვნენ ამ ომში), შევარდნაძე და მისი გუნდი გულხელდაკრეფილები უყურებდნენ მოწინააღმდეგის მზადებას ომისთვის. მათ შესანიშნავად ჰქონდათ ინფორმაცია, რა ხდებოდა და როგორ ემზადებოდნენ.

– გულხელდაკრეფილები უყურებდნენ და არავითარი ზომები არ მიუღიათ?

– სათანადო ზომები არ მიუღიათ და მივიღეთ არნახული ტრაგედია. გარდა ტერიტორიის დაკარგვისა, დიდი უბედურება დატრიალდა, რომელსაც, გარდა ქართული მოსახლეობის მიზანმიმართული ხოცვა-ჟლეტისა და გენოციდისა, სხვა სახელს ვერ დაარქმევ.

– გენოციდის მასალებში მე მინახავს გაგრის შესახებ ინფორმაციები, ყველამ იცის, რომ ქართველების თავით ფეხბურთის თამაშიდან დაწყებული, რა არ იკადრეს. როგორც ჩანს, გაგრის აღების დროს გამოჩენილი სისასტიკე იმის საჩვენებლად მოაწყვეს, რომ გვეგრძნო, მომავალშიც იგივე გველოდებოდა და უკან არ დაიხევდნენ.

– უკან ვინ არ დაიხევდა?

– რუსებს ვგულისხმობ.

– რუსების გარეშე აფხაზები ვერაფერს გააკეთებდნენ. რუსეთის პოზიცია გასაგებია. ის არის აგრესორი, მტერი, მაგრამ შენ ხელს რომ უწერ შეთანხმებაზე და ყურადღებას არ აქცევ, როგორ ირღვევა ხელმოწერილი შეთანხმება, არ აანალიზებ და რეაგირებას არ ახდენ, ეს რას ნიშნავს? ჩემი შეფასებით, ეს მიზანმიმართულად კეთდებოდა.

– თქვენ იყავით იმ დელეგაციაში და იზიარებდით იმ ხელმოწერას.

– ხელმოწერას ვინ არ გაიზიარებდა, როდესაც ხელი ეწერება ომის შეწყვეტას. შეთანხმება იყო ძალიან კარგი, ომი არავის სჭირდებოდა, მაგრამ შენ ხომ უნდა ადევნო თვალ-ყური როგორ ასრულებენ ამ შეთანხმებას. ყველამ იცოდა, რომ გაგრაზე შეთანხმება მზადდებოდა. როცა იცი, რომ ვარჯიშობენ, ემზადებიან, რეაგირება ხომ უნდა მოახდინო. გაგრელები ამ ყველაფერს ხომ ხედავდნენ, ისინი სოხუმს აწვდიდნენ ინფორმაციას და ხელისუფლებისთვის ყველაფერი ცხადი იყო, რატომ არ იქნა ზომები მიღებული?

– როგორ ფიქრობთ, გაგრის დასაცავად ზომები რატომ არ მიიღეს?

– არ ვიცი. ხომ შეიძლებოდა, საქმის კურსში ჩაეყენებინათ საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს მიმართ მაშინ ისეთი ყურადღება, როგორც დღეს არის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა გაეროში საგანგებო სესიის მოწვევა და იმის გაცხადება, რომ რუსეთი ემზადება შეტევისთვის, ომისთვის.

– შევარდნაძემ ეს რატომ არ გააკეთა?

– არ ვიცი, რატომ არ გააკეთა. იგივე უნდა გაკეთებულიყო ცხინვალთან დაკავშირებით 2008 წელს და მაშინ შეიძლება სხვა სურათი მიგვეღო.

– 2008 წელს ცხინვალში განვითარებული მოვლენების დროს, რუსეთმა საქართველოს გაეროში საჩივრის შეტანა მოასწრო.

– ეს გამომდინარეობს არაკომპეტენტურობიდან. შორს ვარ საკუთარი ქვეყნის შეგნებულ ღალატის დაბრალებისაგან, მაგრამ არაკომპეტენტურობა გამოიკვეთა.

– ბოდიში, მაგრამ არ მესმის, რა არაკომპეტენტურობაზეა საუბარი? შევარდნაძე სულიერად და მორალურად მზად იყო, რომ მას რუსეთისთვის გაეროში ეჩივლა? ის რუსული საბჭოთა სისტემის ნაწილი იყო და ამიტომ მის გონებაში გარკვეული ბარიერები არსებობდა? შევარდნაძე ხომ არ იყო გამსახურდია, რომ ეჩივლა.

– შევარდნაძე ცოცხალი რომ იყოს, ამ კითხვაზე ამომწურავად გიპასუხებდით.

– გამსახურდია არ არის ცოცხალი, მაგრამ მასზე ძვირის თქმას არ ერიდებიან. შევარდნაძე ცოცხლაია თუ არ არის ცოცხალი, მაინც უნდა მიპასუხოთ.

– თავის დროზე შეფასება არ დაგვიკლია. ფაქტი ის არის, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, ხელს ვაწერდით შეთანხმებებს, რომლებიც შემდეგ ერთ თვეში, ორ თვეში უბედურებად და ტრაგედიად გვიტრიალდებოდა.

– ამბობთ, რომ ყველა ხედავდა, რუსეთი როგორ ამზადებდა გაგრის ოპერაციას, საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებს სოხუმიდან ინფორმაციას ვინ აწვდიდა?

– აფხაზეთში იყო უშიშროების სამსახური, რომელიც ინფორმაციას გაგრიდან იღებდა (მაშინ გაგრას ჩვენ ვაკონტროლებდით, სოხუმში შტაბი იყო განთავსებული), ინფორმაციას თბილისს აწვდიდა. ამდენად, უმაღლესი ხელისუფლისთვის ყველაფერი იყო ცნობილი – როგორ მზადდებოდა გაგრის ოპერაცია და შესაბამისი ზომები არ მიიღეს, რომ ჩაეშალათ ამ ოპერაციის განხორციელება, ან თუ რუსეთი მოინდომებდა, საკადრისი პასუხი გაგვეცა.

– თუ გახსოვთ, გაგრის ოპერაციის დროს რამდენი ადამიანი დაიღუპა?

– ვინც მოასწრო ქალაქიდან გაქცევა, ფაქტობრივად, ყველა დახოცეს. იმ დროიდან დაიწყო ამ მონაცემების შეგროვება და დღემდე გრძელდება. გაგრის რაიონიდან დაიღუპა 473 ადამიანი, რაც არასრული მონაცემებია. დღემდე სრული მონაცემი არ გვაქვს. ჩვენთან დღემდე მუშაობს ჯგუფი, რომელიც სიების გადამოწმებასა და გასწორებას ახდენს. მონაცემები სოფლების მიხედვითაა.

გაგრიდან მოსახლეობის ნაწილი გაყვანილი იყო. როდესაც დაიწყო შეტევა ქალაქზე გავიდა, მაგრამ, ვისაც მიასწრეს, ან არ წავიდა იმიტომ, რომ ისეთ სისასტიკეს არ ელოდა, ცოცხალი არავინ დაუტოვებიათ, ყველა დახოცეს. ჩვენს მონაცემებში არ არიან შეყვანილი პოლიციელები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობიდან 473 ადამიანი დაღუპა.

ეს პატარა ციფრი არ გახლავთ. შეიძლებოდა 10-ჯერ მეტი ყოფილიყო, ხალხი რომ არ გასულიყო, საკუთარი თავისთვის რომ არ ეშველათ და იქით, რუსეთის ტერიტორიაზე რომ არ გასულიყვნენ, მაშინ ბევრად უფრო დიდი ტრაგედია დატრიალდებოდა. იქ ქართველობის ნიშნით არავის ცოცხალს არ ტოვებდნენ, ქართველი უნდა განადგურებულიყო, თანაც არაადამიანური სისასტიკით აწამებდნენ და მერე კლავდნენ.

– როდესაც გაგრაზეა საუბარი, ყველაზე მეტად რა გახსენდებათ და მნიშვნელოვნად რა მიგაჩნიათ?

– ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონის მიმართ ჩვენი მხრიდან არასაკმარისი ყურადღება, არაპროფესიონალიზმი ყველაფერში, არასახელმწიფოებრივი მიდგომა იმ პრობლემის მიმართ, რაც ჩვენ იქ გვქონდა. არ ჩანდა არც სახელმწიფოებრივი მიდგომა, არც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით იყო ყველაფერი თავის დონეზე. ადამიანები რომ თავს წირავდნენ, ეს საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ, სამხედრო ხელისუფლების თვალსაზრისით, როგორ ქვეყნის თავდაცვა როგორ იყო აწყობილი, ეს საკითხის მეორე მხარეა. აქ გვაქვს ჩვენ ძალიან სერიოზული პრეტენზიები.

შეიძლება, ვიღაცამ თქვას, როგორც უნდა გაგვემაგრებინა, რუსეთი მაინც გააკეთებდა იმას, რაც გააკეთაო. ვერც შეედავები, მაგრამ...

– მაგრამ ამ კუთხით რომ არაფერი გაგვიკეთებია?

– არაფერი გაგვიკეთებია, როგორც გაგრის რაიონის გამაგრების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო საზოგადოების, ინსტიტუტების ჩართვა. საჭირო იყო დიპლომატიური ძალისხმევა და მსოფლიოსთვის იმის თქმა, რა ელოდა გაგრას, რა მზადდებოდა და ვინ ამზადებდა ტრაგედიას.

გუდაუთის დაჯგუფებას ერთი ასეული ეყოფოდა. მთავარი მტერი უნდა დასახელებულიყო გაეროს ტრიბუნიდან, სანამ გაგრის ოპერაცია დაიწყებოდა. როდესაც შევარდნაძე საქართველოს მოევლინა, აქ ძალიან ბევრი ადამიანი, ქვეყნის პატრიოტები ამბობდნენ, აი, მოვიდა მსოფლიო დონის პოლიტიკოსი და ახლა გვეშველებაო. აქ უნდა გამოჩენილიყო მავანის მსოფლიო დონე, მსოფლიო დონის პოლიტიკოსობა და გაეროს ტრიბუნიდან გაცხადებულიყო, რუსეთი, რომელმაც ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, ამზადებს შემოტევას, ჩვენ კი ვასრულებთ შეთანხმებას.

– გუდაუთის დაჯგუფება გაგრის სისასტიკეს რით ხსნიდა? შემდეგ არ შეხვედრიხართ და არ გიკითხავთ?

– გაგრის ტრაგედიიდან 1 თვის თავზე, 2-3 ნოემბერს, ავთანდილ იოსელიანის ხელმძღვანელობით სოხუმიდან გუდაუთაში ჩავიდა დელეგაცია, რომელშიც მეც ვიყავი. ჩვენ მოვითხოვეთ და გაგრაშიც წავედით, 1 თვე იყო გასული, რამდენიმე ოჯახში ვიმყოფებოდით, აფხაზების თანდასწრებით შევხვდით ადამიანებს. იქ ჩვენ ოზგანი გვახლდა. იქ იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. 1 თვის შემდეგ ჩვენ იქ ვერაფერი ვნახეთ, ქალაქი გაგრა და გაგრის რაიონი ქართველებისაგან მთლიანად იყო დაცარიელებული. რამდენიმე ადამიანი გამოვიყვანეთ, ვინც იყო იქ ჩარჩენილი და სადღაც ნათესავებთან გადამალული.

– აფხაზებმა რით იმართლეს თავი გაგრაში ჩადენილ სისასტიკესთან დაკავშირებით?

– აფხაზები ამბობდნენ, კი აქ იყო რაღაც, მაგრამ ისეთი დიდი უბედურება, რასაც წერენ, არ მომხდარაო. ჩვენ იქ დამამტკიცებელი საბუთები არ გვქონდა. ჩვენი მთავარი მიზანი მაშინ, გაგრის საკუთარი თვალით ნახვა იყო. გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა სია ადამიანებისა, რომლებიც ნათესავებთან იმალებოდნენ. ვთხოვეთ აფხაზურ მხარეს, მათი გამოყვანის საშუალება მოეცათ. გამოვიყვანეთ კიდევაც.

– ახლა, როცა დრო გავიდა და ნისლი გაიფანტა თუ არ გაიფანტა, ქართველებს მუდმივად ეუბნებიან, რომ ბოდიში მოიხადონ. მარტო გაგრის აფხაზებს ბოდიში არ აქვთ მოსახდელი?

– აფხაზურ მხარეს აკვიატებული აქვს, ქართველებმა გინდა, არ გინდა, ბოდიში უნდა მოიხადონო. მე დღესვე მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო, ოღონდ გვერდით უნდა დამიდგეს აფხაზი და მასთან ერთად ვიხადო ბოდიში იქ მომხდარი უბედურებების გამო. აფხაზებსაც დიდი უბედურება და არნახული ტრაგედია დაატყდათ თავს.

როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე სეპარატისტები რუსეთის წაქეზებით ამ ომისთვის ემზადებოდნენ და საბაბს ეძებდნენ. ვიდეოჩანაწერი არსებობს (ქართულ მხარეს ეს გააჩნია), სადაც არძინმა აცხადებს, ჩვენ ქართველებს პირველებს გასროლინებთო.

– სად თქვა?

– ეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არძინბამ სესიაზე განაცხადა ომამდე სამი თვით ადრე. ამ განცხადების შემდეგ მალე შეწყდა სესიები. ჩვენი დანაშაული ისაა, მაინც ითვლება ისე, თითქოს პირველებმა ჩვენ გავისროლეთ. თუ ჩავეძიებით და სიღრმეებში ჩავალთ, 1989 წელს პირველმა ვინ გაისროლა? ფაქტია, რომ პირველად ჩვენ არ გაგვისროლია, მაგრამ ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების შემოსვლა, ვითომ რკინიგზის გასაკონტროლებლად, ეს ყველაფერი, ალბათ, ისე უნდა გაკეთებულიყო, არ მიეღო სახე, რომ ჩვენ პირველებმა ვისროლეთ.

ჩვენ, ქართველებს, ყველაფერი არ გაგვიკეთებია იმისათვის, რომ საქმე ომამდე არ მისულიყო. რადგან რუსულ მხარეს აუცილებლად ჰქონდა გადაწყვეტილი აფხაზეთში ომის დაწყება (სხვანაირად რუსეთი ამ ტერიტორიას ვერასოდეს დაეპატრონებოდა), მაშინ ჩვენ დრო მაინც უნდა გაგვეწელა. ყველაფერი უნდა გველონა, რომ ეს ომი 14 აგვისტოს არ დაწყებულიყო. თუ გარდაუვალი იყო, ჩვენთვის ხელსაყრელ ვითარებაში დაწყებულიყო. წინასწარ არ შეფასდა, რა ნაბიჯს რა შედეგი მოჰყვებოდა. საქართველოს ვერავინ აუკრძალავდა, თავის სუვერენულ ტერიტორიაზე ჯარი შეეყვანა, მაგრამ, თუ იცი, რომ ამ შენს კონსტიტუციურ უფლებას, შენი ტერიტორიის რომელიმე ნაწილში ჯარის შეყვანას მერე დიდი უბედურება მოჰყვება, მაშინ ეს არ უნდა გააკეთო. საშინელი უბედურება დატრიალდა და პასუხი არავის უგია.

კომპანია „საქნახშირი“ მაღაროელებს ხელფასს აღარ გადაუხდის

„კომერსანტისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ტყიბულელი მაღაროელები 1-ლი ოქტომბრიდან ხელფასის გარეშე რჩებიან და ამის გამო რამდენიმე დღეში გაფიცვას აანონსებენ. მაღაროელი გაგა ისაკაძე ჩვენთან მიმდინარე პრობლემებზე საუბრობს და განმარტავს, რომ მათი ბედი ისევ გაურკვეველია.

– არ ვიცით რა ბედი გვეწვევა. გაურკვევლობაში ვართ და თუ ამ დღეებში ისევ არაფერი გაირკვა, ვაპირებთ კვლავ ქუჩაში გავიდეთ. არავინ არაფერს გვეუბნება. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „საქნახშირს“ ჰქონდა მოლაპარაკება მთავრობასთან, გარკვეულ ადგილებში (იქ, სადაც აფეთქება არ მომხდარა) სამუშაოები თუ არ აღდგებოდა, მაშინ 1-ლი ოქტომბრიდან ხელფასებს აღარ დაგვირიცხავდნენ. მთავრობა დუმს. ფინანსური პრობლემები კი ჩვენთვის დღეს ყველაზე მტკივნეულია, – აღნიშნავს გაგა ისაკაძე.

მისივე თქმით, ხელფასების გარეშე დარჩენას, ყველა მაღაროელს ურჩევნია, ნებისმიერ პირობებში სამუშაოები გაგრძელდეს და ამიტომ მზად არიან მაღაროში ჩასასვლელად.

გაგა ისაკაძე:

– ჩვენც გვაწუხებს უსაფრთხოება და ყველას ეშინია ოჯახის წევრის დაკარგვის, მაგრამ ფინანსების გარეშე ლუკმაპურის გარეშე ვრჩებით. ესეც სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ, ორი ცუდი ვარიანტიდან ვირჩევთ სამუშაოების აღდგენას. სხვა რა გზა გვაქვს?!.

ტყიბულის მაღაროში დღეს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, კომერსანტი საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენლებსაც ესაუბრა. ორგანიზაციის წევრმა დავით დოლაბერიძემ დაგვიდასტურა, რომ მაღაროელებს ხელფასები ნამდვილად აღარ ჩაერიცხებათ. მისივე თქმით, „საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა ჯამბულ ჯაყელმა განაცხადა, რომ 15 ივნისის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ნახშირმოპოვება შეჩერებულია, ივლისის და აგვისტოს ხელფასები გადაიხადა, მაგრამ, თუ ნახშირმოპოვება არ განახლდა, კომპანია 1-ლი ოქტომბრიდან ხელფასებს ვეღარ გასცემს.

კომპანიის ადმინისტრაციაში შემუშავდა სპეციალური ტექსტიც, რომელზეც ხელმოწერებს აკეთებენ მეშახტეები და მისი ძირითადი პათოსი სამუშაოების განახლების სურვილის დაფიქსირებაა.

დავით დოლაბერიძე:

– მაღაროელებს აქვთ უმუშევრობის შიში და ითხოვენ დასაქმებას, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ტყიბულში ალტერნატიული დასაქმების საშუალება არ არის. საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირი და საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება, მაშინვე ითხოვდა მხარეების მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენას, როდესაც პრემიერ-მინისტრმა 16 ივნისს ნახშირმოპოვებითი სამუშაოების გაჩერებისა და მაღაროელების იძულებითი მოცდენის მთელ პერიოდზე ანაზღაურების გაცემის ბრძანება გასცა. პრემიერმა პროფკავშირის მოთხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა, რის შესახებაც ჩვენ ბახტაძეს წერილობით შევახსენეთ, თუმცა მისი მხრიდან რეაგირება მაინც არ ყოფილა.

ტყიბულის კრიზისისადმი მთავრობის ამგვარი დამოკიდებულების გამო, ტყიბულში იძულებითი შრომის გარემო შეიქმნა, ანუ, მაღაროელები ითხოვენ მუშაობის განახლებას მიუხედავად იმისა, როგორი შრომის უსაფრთხოების გარემო იქნება მაღაროებში...

გარდა იმისა, რომ მაღაროელები რჩებიან ხელფასების გარეშე, მეორე პრობლემა უკავშირდება იმ გერმანულ კომპანიას, რომელსაც პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ადგილზე უნდა შეესწავლა მაღაროს მდგომარეობა და დაედგინა, შესაძლებელია თუ არა სამუშაოების გაგრძელება მომავალში. ირკვევა, რომ ეს კომპანია ჯერ არც კი ჩამოსულა; მეტიც, ჩამოსვლის თარიღი ისევ უცნობია.

„პროფკავშირების“ წარმომადგენელი ნიკა კაკაშვილი:

– დიახ, ეს ექსპორტიორი კომპანია უკვე რა ხანია შერჩეულია, მაგრამ ჯერ არავინ ჩამოსულა. ერთი მხრივ, გასაგებია, რომ ამას სჭირდება ტექნიკური საკითხების მოგვარება, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც არ ვიცით, როდის ჩამოვლენ და ამასობაში რა ბედი ეწევათ მაღაროელებს.

დავით დოლაბერიძე:

– მიმდინარე წლის 7 სექტემბერს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ შერჩეული იქნა გერმანული საექსპერტო კომისია GMT ჯგუფი, რომელმაც საფრთხეების და რისკების შეფასების მიზნით, შახტების ინსპექტირება უნდა განახორციელოს და, სავარაუდოდ, არსებული მეთოდოლოგიით ქვანახშირის მოპოვების გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებაც უნდა გააკეთოს შეფასება.

გერმანულ კომპანიას სამუშაოების ჩასატარებლად 5 კვირა დასჭირდება, შესაბამისად, ისიც გაურკვეველია, იძულებითი მოცდენის პერიოდს ვინ აანაზღაურებს, როცა „საქნახშირი“ ამბობს, რომ მეტი შესაძლებლობა არ აქვს.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, მას შემდეგ რაც ტყიბულის მაღაროდაილუქა, ორ კონკრეტულ ლოკაციაზე მუშაობა კვლავ გრძელდება. ესენია – ვენტილაციისა და წყლის ამოტუმბვის ადგილები, სადაც დარგის სპეციალისტების თქმით, სამუშაოების შეჩერება ფიზიკურად შეუძლებელია. მართალია აღნიშნული ლოკაციები იმდენად საფრთხის შემცველი არ არის, რამდენადაც უშუალოდ აფეთქების ადგილები, მაგრამ უსაფრთხოების ნორმები არც იქ არის ბოლომდე დაცული.

რა ბედი ეწევათ ტყიბულელ მაღაროელებს? მიუხედავად იმისა, რომ პროცესებში უშუალოდ პრემიერ-მინისტრი გიორგი ბახტაძეც ჩართულია, შეკითხვა მაინც აქტუალური და პასუხგაუცემელია.

დეტალების გასარკვევად „კომერსანტი“ დაუკავშირდა „საქნახშირს“, მთავრობის ადმინისტრაციას, ეკონომიკის სამინისტროს. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გვაცნობებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკითხის შესწავლა. რაც შეეხება თავად საქნახშირს, პასუხის მიღებისთანავე ინფორმაციას მოგაწვდით.

რა გავლენა ექნება თურქეთის კრიზისს საქართველოზე?

– თუ თურქეთში სიტუაცია არ გაუარესდება, საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ველოდებით, – ასე აფასებს თურქეთში მიმდინარე კრიზისს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე Global Finance-თან მიცემულ ინტერვიუში. გვენეტაძე ამბობს, რომ თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია – სწორედ თურქეთზე მოდის იმპორტის 17% და ექსპორტის 8%. ამასთან, თურქეთს დიდი წილი უკავია, როგორც ტურისტულ შემოსავლებში, ასევე ფულად გზავნილებში.

– ეკონომიკური სიტუაცია თურქეთში შეამცირებს საქართველოში, როგორც უცხოურ შემოდინებებს, ასევე მოთხოვნას ქართულ საქონელსა და მომსახურებაზე. თუმცა, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ თურქული ლირას დინამიკა და ინფლაცია. რეგიონში გაზრდილ რისკებს, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჩვენი რისკების განსაზღვრაზე და შესაბამისად კაპიტალის შემოდინებაზე. თურქული ლირა ქართული ლარის მიმართ მნიშვნელოვნად გაუფასურდა, – ამბობს გვენეტაძე.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს თურქული ლირა დოლარის მიმართ 35%-ზე მეტად გაუფასურდა.

BFM.GE

ბიზნესი მთავრობის რეფორმებს მიჰყვება

ქვეყნის ეკონომიკის მთავარ გამოწვევად „საქართველოს ბანკის“ მმართველი კახა კიკნაველიძე სასამართლო რეფორმას ხედავს.

დასავლური პრაქტიკის შემოტანა პრემიერმა ჯერ მთავრობის სხდომის დაწყებამდე დააანონსა, მოგვიანებით კი ბიზნესს გააცნო, ასოციაციასთან შეხვედრაზე.

მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დახურულ რეჟიმში გადასვლამდე მამუკა ბახტაძემ კერძო სექტორთან მუდმივ კოორდინაციაზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ მთავრობა ცვლილებებს ბიზნესწრეებთან კონსულტაციების გარეშე არ ატარებს.

მან სექტორს 2 ინიციტივა გააცნო, 20 დეკემბერს დაგეგმილი ხელმოწერა პარიზში, საქართველოში სავაჭრო პალატის კომერციული არბიტრაჟის ამოქმედებაზე.

მე-2 კი უკვე დასრულებული პროექტია, ელექტრონული რეზიდენტობის პრაქტიკის დანერგვა, რაც უცხოელების ონლაინრეგისტრაციის შესაძლებლობით მათთვის და ადგილობრივი ბიზნესისთვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნას ითვალისწინებს.

BFM.GE

თამაზ გაიაშვილი: „მიწა წამართვეს და გამიყიდეს“

– სასტუმროს ასაშენებლად განკუთვნილი მიწა ეკონომიკის მინისტრობის პერიოდში დიმიტრი ქუმსიშვილმა წამართვა და გამიყიდა.

ამის შესახებ „კომერსანტს“ ექსკლუზიურად კომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ დამფუძნებელმა თამაზ გაიაშვილმა განუცხადა.

„ჯორჯიან ეარვეისის“ დამფუძნებელი ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან კონკრეტული მოლაპარაკებების დეტალებსაც იხსენებს.

– ქუმსიშვილს ვუთხარი, რომ სასტუმროს გაკეთება მსურდა და გავარკვიე ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე სხვას პრეტენზია არ ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მე სასტუმროს მშენებლობას აეროპორტის ტერიტორიაზე გადავიფიქრებდი. დიმიტრი ქუმსიშვილი დამთანხმდა და თქვა, რომ მიწას გამომიყოფდა. როდესაც არქიტექტურული და საინჟინრო პროექტის მომზადება დავიწყე მან მიწა გაყიდეს.

ამჟამად როგორი მდგომარეობაა? – ქუმსიშვილს ჰკითხეთ, რა ხდება, მე აღარაფერი ვიცი, – აღნიშნა თამაზ გაიაშვილმა.

„კომერსანტმა“ გადაამოწმა ინფორმაცია და როგორც გაირკვა, ბიზნესმენის მიერ დასახელებული მიწის ნაკვეთი კანონის დაცვით, აუქციონის წესით გაიყიდა, სადაც გაიაშვილს მონაწილეობა არ მიუღია.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის მარტში „კომერსანტისთვის“ ცნობილი გახდა, რომ თამაზ

გაიაშვილი თბილისის აეროპორტთან სავარაუდოდ „აკორ ჯგუფის“ ბრენდის სასტუმროს აშენებდა. საუბარი იყო 120-დან 160 ნომრამდე სასტუმროზე, რომელიც 4-ვარსკვლავიანი იქნებოდა.

პროექტში 10 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმებოდა.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სექტემბერში მგზავრთნაკადი 63%-ით გაიზარდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, 2018 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში მგზავრთნაკადი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 63%-ით გაიზარდა. სექტემბერში ქუთაისის აეროპორტი 68,061 მგზავრს მოემსახურა (2017 წლის სექტემბერი 41,732 მგზავრი).

რაც შეეხება რეისების რაოდენობას, ზრდა ამ მიმართულებითაც ფიქსირდება. 2018 წლის სექტემბერში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 223 რეისი შესრულდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39% მეტია (2017 წლის სექტემბერი 161 რეისი).

რაც შეეხება 9 თვის მონაცემებს, ჯამში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი იანვარ-სექტემბერში 450,386 მგზავრს მოემსახურა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ით მეტია (2017 წლის 9 თვე – 325,087 მგზავრი). ზრდა ფიქსირდება შესრულებული რეისების კუთხითაც. 9 თვის განმავლობაში დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში 1569 რეისი შესრულდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე 20% მეტია (2017 წლის 9 თვე – 1303 რეისი).

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, მგზავრთნაკადის ზრდის კუთხით მოლოდინი მომავალ თვეებშიც პოზიტიურია.



კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელსა და დირექტორს ბრალი წარედგინათ

სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელ გივი ჯიბლაძესა და დირექტორ თორნიკე ჯანელიძეს ბრალი წარედგინათ. გამოძიება დაკავებულებს თაღლითური გზით დიდი ოდენობით თანხების მითვისება ედებათ ბრალად.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება 180-ე მუხლის მესამე ნაწილით (თაღლითობა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით). ამ ბრალდებით გივი ჯიბლაძესთან ერთად, კიდევ ერთი ხელმძღვანელია დაკავებული.

ადვოკატის განცხადებით, დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ.

კომპანია „სვეტის“ დირექტორი გივი ჯიბლაძე 3 ოქტომბერს თავის სახლში დააკავეს.

ჯიბლაძის დაკავების შემდეგ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დაზარალებულები მივიდნენ. მენაშენეები ითხოვენ, რომ კომპანიის დაკავებულმა ხელმძღვანელებმა წილები სხვა კომპანიას გადასცენ, რომელიც მშენებლობის დასრულებას შეძლებს.

ტყვია-წამლით უკანონოდ ვაჭრობა — ჯარისკაცების სკანდალი, რომელიც მინისტრმა იზორიამ დამალა

თავდაცვის სამინისტრო უპრეცედენტო სკანდალში ეხვევა. საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან ტყვია-წამალს უკანონოდ ყიდდნენ. დაკავებულია შეიარაღებული ძალების 3 სამხედრო, თუმცა მინისტრის ლევან იზორიას ბრძანებით, ამბავი დამალეს.

„კურიერის“ ინფორმაციით, იარაღით უკანონოდ ვაჭრობა თავდაცვის სამინისტროში ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა, თუმცა შიდა კონტროლის სამსახურმა ფაქტი ვერ გამოავლინა.

სპეცოპერაცია სამხედროების დასაკავებლად თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ თვენახევრის წინ ჩაატარა, თუმცა მინისტრის ბრძანებით ამბავი დამალეს. თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა, ფაქტის შესახებ ღიად მას შემდეგ ესაუბრა, რაც ფაქტზე ჟურნალისტური გამოძიება „კურიერმა“ დაიწყო და საბრძოლო მასალებით უკანონოდ ვაჭრობის თვითმხილველი სამხედროები ჩაწერა.

გუშინ, 4 ოქტომბერს, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ირაკლი ბაზერაშვილმა სამინისტროში ბრიფინგი გამართა.

– სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარე გამოძიების პროცესში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით სამი პირი დააკავეს, – განაცხადა მან.

გამოძიებით დადგინდა, რომ ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზის, შენახვის განყოფილების საბრძოლო მასალის შენახვის სპეციალისტი, გ.გ. დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის საავტომობილო ბაზის საშტატო ასეულის მეთაურის მოადგილე ზ.მ-სთან, რომლებიც მოქალაქე ს.ბ.-ს დახმარებით, შეიარაღების და ტექნიკის სარემონტო ბაზიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული საბრძოლო მასალის კონკრეტულად, საბრძოლო ვაზნების რეალიზაციას ახდენდნენ.

– საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულების სათავსოდან და ავტომანქანიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით საბრძოლო ვაზნები. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა, რომელთაც ბრალის დადასტურების შემთხვევაში ემუქრებათ 9-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, – აღნიშნა ირაკლი ბაზერაშვილმა.

მისივე თქმით, დაკავებები აგვისტოში განხორციელდა.

ბათუმში ავტობუსი მანქანას დაეჯახა

2 ადამიანი დაიღუპა

ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე, ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და ავტობუსი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად ადგილზე დაიღუპა ერთი პირი, ერთი კი – საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ. სამედიცინო დაწესებულებაში აცხადებდნენ, რომ კლინიკაში შეყვანილ 30 წლამდე ქალს სიცოცხლისთვის შეუსაბამო დაზიანებები ჰქონდა.

სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ინფორმაციით, საავადმყოფოში ასევე გადაიყვანეს ორი დაშავებული, რომელთაგან ერთი მძიმე მდგომარეობაში იყო.

ავარიის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა მსუბუქ ავტომანქანას, თუმცა, მეხანძრეების თქმით, ის მათ მისვლამდე მოქალაქეებმა ცეცხლმაქრობებით ჩააქრეს.

ბათუმელები

„ღამეა, მეშინია, ჩემებს არ სძინავთ“

მკვლელობის ღამეს შეყვარებულმა ანა ნაცვლიშვილს წერილი მისწერა და შეხვედრას სთხოვდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე გამომძიებლებმა ჩვენება მისცეს.

გამომძიებელმა დავით ჩინჩალაძემ თქვა, რომ მან მკვლელობაში ბრალდებული ლადო გრიგალაშვილის სახლის ჩხრეკაში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც ამოიღეს ბრალდებულის ქურთუკი და ზოლიანი სვიტერი, ასევე ნაცვლიშვილის და გრიგალაშვილის ფოტოსურათი.

ლადო გრიგალაშვილის საძინებლიდან ამოღებულ სვიტერზე, წინა მხარეს, იყო მოწითალო ლაქები.

სასამართლოს ჩვენება მისცა ასევე გამომძიებელმა ირაკლი ფიფიამაც. ის აწარმოებდა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებებს.

ფიფიას ინფორმაციით, ბრალდებულისა და მოკლულის კუთვნილი მობილური ტელეფონებიდან ამოღებული ინფორმაციის მიხედვით, გრიგალაშვილსა და ნაცვლიშვილს შორის საუბარი მკვლელობის ღამეს შეხვედრაზე იყო.

– „ღამეა, მეშინია, ჩემებს არ სძინავთ“, მსგავსი ტექსტი აქვს მიწერილი ნაცვლიშვილს, – აცხადებს გამომძიებელი.

შეგახსენებთ, რომ თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით გოგონას შეყვარებული, ლადო გრიგალაშვილი, მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

ბაზალეთის ციხის ორმა პატიმარმა ლითონის საგნები გადაყლაპა

გლდანის ციხეში პატიმრები შიმშილობენ. დაჩი დიდიძე და ბექა გელხაური ციხეში სახალხო დამცველისა და ეკა ბესელიას შესვლას ითხოვენ.

– პატიმრები მეორე კვირაა, შიმშილობენ და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია, – ამბობს ადვოკატი და დასძენს, რომ პატიმრებმა პროტესტის ნიშნად ლითონის საგნებიც გადაყლაპეს. შესაბამისად, მოშიმშილე მსჯავრდებულებს ქირურგიული ჩარევაც სჭირდებათ.

ძლიერი აფეთქება ბაზალეთში, დევნილთა დასახლებაში

3 დაშავებულში 10 წლის ბავშვიცაა

დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის მიმდებარედ არსებულ დევნილთა დასახლებაში აფეთქება მოხდა. შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა, მათ შორის 10 წლის ბავშვია.

აფეთქების მიზეზი, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვა გახდა.

გამოძიება 240-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ობიექტზე ელექტრო ან თბოენერგიის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

პაატა ბურჭულაძის მეუღლე ანგელა ვასილენკო სასამართლოში არ მივიდა და საქართველოდან წავიდა

„8 ოქტომბერს ჩამოვალ“

პაატა ბურჭულაძის მეუღლემ, რომელიც გუშინ, 4 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოკითხვაზე იყო დაბარებული, საქართველო დატოვა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ანგელა ვასილენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არსად გარბის და 8 ოქტომბერს საქართველოში დაბრუნდება.

– არსად გავრბივარ, 8 ოქტომბერს დავბრუნდები. უკან დასაბრუნებელი ბილეთი მაქვს, პროკურატურას ყველაფერი ვუთხარი. ჩამოვალ 8 ოქტომბერს და მინდა, საგამოძიებო უწყების ყველა კითხვას პასუხი გავცე, – განაცხადა ბურჭულაძის მეუღლემ.

პაატა ბურჭულაძის ოჯახი და ადვოკატები პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებენ. მთავარმა საგამოძიებო უწყებამ ბურჭულაძის მეუღლე დაკითხვაზე მას შემდეგ დაიბარა, რაც მსოფლიო ბანმა ტელეეთერებში ბიძინა ივანიშვილი მწვავედ გააკრიტიკა და საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარდაჭერა ოპოზიციას გამოუცხადა.

– მოქალაქე ანგელა ვასილენკო გამოთქვამდა მზადყოფნასა 2018 წლის მარტის თვიდან, რომ მოსულიყო ჩვენების მისაცემად თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა ეს აქამდე საჭიროდ არ ჩაუთვლია გამოძიებას. გუშინ მოულოდნელად გამოიძახეს. ანგელა ვასილენკომ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ 8 ოქტომბერს კანონით დადგენილი წესით მოვალ და მივცემ ჩვენებას. ამის მიუხედავად მაინც დაიბარეს, თუ რატომ ასეთი ფორსმაჟორული წესით, გაუგებარია.

საქმე მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, ფონდ „იავნანასთან“ დაკავშირებით, როგორც იცით, მითვისება გაფლანგვის მუხლით. ერთადერთი კითხვა შეიძლება ანგელა ვასილენკოს ვინმემ დაუსვას – რატომ გააკეთე ამდენი კარგი იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს ფონდი ეხმარებოდა, – ამბობს ადვოკატი ვახტანგ კვიჟინაძე.

პაატა ბურჭულაძის თქმით, საგამოძიებო უწყება ცდილობს ისე წარმოაჩინოს, რომ ანგელა ვასილენკო დაკითხვაზე უარს ამბობს.

ბურჭულაძის განცხადებით, 8 ოქტომბერს დაკითხვის შესახებ შეთანხმება ვასილენკოსა და პროკურატურის გამომძიებელს შორის 3 ოქტომბერს შედგა. მსოფლიო ბანის განცხადებით, მისი მეუღლე სასამართლოს ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის, მათ შორის საუბარი იქნება ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილზე.

– გუშინ მობრძანდა გიორგი ლომთაძე, პროკურატურის გამომძიებელი. ჩემმა მეუღლემ უთხრა, რომ მოსამართლის თანდასწრებით და შეთანხმდნენ, რომ 8 რიცხვში მივიდოდა და დაკითხვა მოხდებოდა. ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვს სათქმელი, სხვათა შორის, რაშიც ფიგურირებს ბიძინა ივანიშვილი და ისინი თავს არიდებდნენ ამას. უნდათ შექმნან, რომ ვითომ გაიქცა ვინმე ქვეყნიდან.

გასაქცევად, ჩემი აზრით, ემზადება ბიძინა ივანიშვილი. 2012 წელს მასთან ჰქონდა შეხვედრა ფონდ იავნანას პარიზში წასვლასთან დაკავშირებით მაგრამ იქ გადაუხვიეს თემას და სხვა თემაზე ჰქონდა საუბარი. ამასაც მოუყვება მათ. ისე რომ, ძალიან საინტერესო დაკითხვა იქნება და ჩვენ თვითონ გვინდოდა მარტის თვიდან, მაგრამ დღეს დაასწრეს, იმიტომ, რომ ხვალ მე მაქვს შეხვედრა ელჩებთან, მე მაქვს საზოგადოებასთან შეხვედრა და მინდა ყველაფერი მოვუყვე, თუ რა წნეხის ქვეშ არის ფონდი იავნანა, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ზაზა ოქუაშვილის მეგობარი პოლიციაში 3 წლის წინანდელ საქმეზე გამოკითხეს

გუშინ, 4 ოქტომბერს, ომეგას თანამშრომელი დავით თოლორდავა პოლიციაში დაკითხეს. როგორც თავად დავით თოლორდავამ ჟურნალისტებთან განაცხადა, ის პოლიციაში სამი

წლის წინ მომხდარი საქმის ფარგლებში გამოსაკითხად წაიყვანეს და ამჟამად ომეგას საქმესთან დაკავშირებით კითხვები არ დაუსვამთ.

როგორც თოლორდავას ნაამბობიდან ირკვევა, ის სამი წლის წინ იარაღიდან შემთხვევითი გასროლით დაიჭრა. ამ სამი წლის განმავლობაში ამ საქმეზე პოლიციამ რამდენჯერმე მიაკითხა.

დეპუტატ ნატო ჩხეიძის განცხადებით, დავით თოლორდავა ზაზა ოქუაშვილის კურსელი და მეგობარია. ის გახმაურებული საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ყიფიანის ეპიზოდის ფიგურანტია.

შსს-ში აცხადებენ, რომ თოლორდავას პოლიციაში დაბარებას კავშირი არ აქვს ომეგა ჯგუფის ჩანაწერების საქმესთან. ის უწყებაში 2015 წლის საქმის ფარგლებში დაიბარეს, რომელიც 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მიმდინარეობს და დასკვნით ეტაპზეა. საქმის დახურვისთვის საჭიროა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა, რომლისთვისაც საავადმყოფოდან სამედიცინო გამოკვლევებზე დოკუმენტაციაა საჭირო.

„საქმეზე 2015 წელს დაწყებულია გამოძიება 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. არაერთი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, გამოძიება მისულია დასკვნით ეტაპზე საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ვინაიდან საქმეში არ არის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტს საბოლოო დასკვნის გასაცემად დამატებით წარსადგენი აქვს სამედიცინო გამოკვლევის დოკუმენტაცია. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით იყო დაბარებული“, – აღნიშნავენ შსს-ში.

პოლიტიკური კრიზისი სომხეთში

პაშინიანი ვაბანკზე მიდის

სომხეთში კვლავ პოლიტიკური კრიზისია. პრემიერმა პაშინიანმა თავის მომხრეებს კვლავ ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდა. პარალელურად რამდენიმე მინისტრი დაითხოვა, რომლებიც დაშნაკცუტუნისა და ორგანიზაცია „აყვავებული სომხეთის“ წევრები არიან.

პრემიერის მოწოდებაზე მისი მომხრეები ქუჩაში მართლაც გამოვიდნენ. ქვეყნის პარლამენტი ბლოკირებულია. ერევანში მასობრივი აქციებია, სადაც ვადამდელ არჩევნებს მოითხოვენ.

პოლიტოლოგ ზორიანის აზრით, პაშინიანის ესოდენ რადიკალური ქმედება განაპირობა პარლამენტის უკანასკნელმა დადგენილებამ, რომლის თანახმადაც, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

– ამჟამინდელ პარლამენტში უმრავლესობა სომხეთის ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს აქვთ. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, შეინარჩუნონ პარლამენტი, როგორც მთავრობაზე ზემოქმედების ერთადერთი ინსტრუმენტი, – ამბობს ზორიანი.

პარლამენტმა პაშინიანი პრემიერად მხოლოდ ქუჩის აქციების შედეგად დაამტკიცა. ჩამოყალიბდა მთავრობა, რომელიც უფრო რევოლუციურ სიტუაციას შეეფერებოდა. პაშინიანი იძულებული გახდა, მასში ის ძალებიც შეეყვანა, რომლებიც წინა ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ (დაშნაკცუტუნი და ა.შ.).

პაშინიანს გააჩნია თავისი გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც კორუფციასთან ბრძოლას, ასევე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ბუნებრივია, არსებული პარლამენტის პირობებში ამისი განხორციელება შეუძლებელია. პარლამენტი პაშინიანისადმი მტრული ძალებითაა დაკომპლექტებული. ის მხოლოდ შესაფერის მომენტს უცდის, რომ ახალი პრემიერი დაამხოს.

2 ოქტომბრის დადგენილებით პარლამენტმა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგა. მან მიიღო დადგენილება, რომელიც ვადამდელი არჩევნების ჩატარებას შეუძლებელს ხდის. ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, პრემიერის პოზიციებიც დასუსტდება. პარლამენტი მისთვის უნდობლობის გამოხატვისთვის ემზადება.

ნიკოლ პაშინიანი ამ გეგმების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. რადგან ჩხუბი გარდუვალია, პირველმა უნდა დაარტყა. სომხეთის პრემიერიც ასე მოიქცა. როგორც კი პარლამენტმა ვადამდელი არჩევნები შეუძლებელი გახადა, მან თავის მომხრეებს მიმართა და ქუჩაში გამოიყვანა.

დღეისთვის პაშინიანის რეიტინგი ჯერ კიდევ მაღალია. სომხეთის პრეზიდენტი მოსახლეობის ნდობით სარგებლობს. ეს საშუალებას აძლევს, წავიდეს ვაბანკზე, ანუ ქუჩის აქციების მეშვეობით ვადამდელ არჩევნებს მიაღწიოს. ალბათობა იმისა, რომ ახალ პარლამენტში რეფორმატორებს უმრავლესობა ექნებათ, დიდია.

ჯერჯერობით პროცესები პაშინიანის სასარგებლოდ ვითარდება. დასავლეთი რეფორმატორებს მხარს უჭერს. რაც მთავარია, პაშინიანი და მისი გუნდი სომეხი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობენ.

ტრამპი ახალ სკანდალში გაეხვია

დონალდ ტრამპი ახალ სკანდალში გაეხვია. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მას ფინანსური მაქინაციები დასდო ბრალად. ამის საფუძველზე ნიუ-იორკის შტატის ფინანსებისა და გადასახადების აღრიცხვის დეპარტამენტმა მის მიმართ გამოძიება დაიწყო.

სათანადო ბრძანება ნიუ იორკის მერმა დე ბლაზიომ გასცა.

პუტინმა „საპენსიო პაკეტს“ ხელი მოაწერა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც საპენსიო ასაკის გაზრდას ითვალისწინებს.

დუმამ აღნიშნული კანონი მიიღო, რასაც რუსეთში საპროტესტო აქციები მოჰყვა.

– ადამიანურად მოსახლეობის მესმის, მაგრამ მათაც უნდა გაგვიგონ. რუსეთს ეკონომიკურად უჭირს, აღნიშნული კანონი კი მრავალი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება, – თქვა პუტინმა.

პომპეო: „აშშ ირანთან მეგობრობის ხელშეკრულებას წყვეტს“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ირანთან დადებულ მეგობრობის შეთანხმებას წყვეტს.

მიზეზი ირანის აგრესიული და ანტიამერიკული პოლიტიკაა.

პომპეომ ხაზი გაუსვა იმ დესტრუქციულ როლს, რომელსაც სირიაში ირანი თამაშობს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ასადის რეჟიმისთვის უახლესი სარაკეტო-საზენიტო სისტემის მიწოდება სხვა არაფერია, თუ არა კონფლიქტის ესკალაცია.

– ამას აშშ-ის მხრივ პასუხი მოჰყვება! ირანთან მეგობრობის ხელშეკრულების გაწყვეტა პირველი ნაბიჯია! – ამბობს პომპეო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნატომ უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადა

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ჩრდილო- ატლანტიკური ბლოკი აზოვის ზღვაზე რუსეთის პროვოკაციული მოქმედებებით შეშფოთებულია.

სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა, რომ კრემლის აგრესიული პოლიტიკა მთელ რეგიონს საფრთხეს უქმნის.

– ნატო უკრაინას მხარდაჭერას უცხადებს, – თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ასევე განაცხადა, რომ ნატო კიევში გახსნის ცენტრს, რომელიც უკრაინას კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება.

– უკრაინა-ნატოს თანამშრომლობა ვითარდება და ამას ხელს ვერავინ შეუშლის, – ამბობს სტოლტენბერგი.

ერაყს ახალი პრეზიდენტი და პრემიერი ჰყავს

ერაყის პარლამენტმა ახალი პრეზიდენტი და პრემიერი აირჩია. პრეზიდენტის პოსტი ქურთული წარმოშობის პოლიტიკოსმა საღეჰმა დაიკავა, პრემიერი კი ცნობილი ეკონომისტი აბდულა მაჰდი გახდა.

მაჰდი გავლენიანი შიიტური კლანის წარმომადგენელია. სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს ის დევნას განიცდიდა და, იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა.

აბდულა მაჰდი საფრანგეთში ცხოვრობდა და იქაურ ანალიტიკურ ცენტრში მუშაობდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მოჭადრაკე ქალებს მედლებისთვის მძიმე ბრძოლები ელით

საქართველოს ქალთა ნაკრები ბათუმში მიმდინარე 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებს, თუმცა შანსები მიზერულია, რადგან მე-8 ტურში განცდილმა მოულოდნელმა მარცხმა გეგმები მნიშვნელოვნად აურია. ერთი რომ სატურნირო ცხრილში ორი გამოკვეთილი ფავორიტი გამოიკვეთა, მოქმედი ჩემპიონის ჩინეთის და უკრაინის ნაკრების სახით, რომელიც ბოლო წლებში მუდმივად საუკეთესო სამეულში შედის და მეორე – ცხრილის თავში ისედაც საოცარი სიმჭიდროვეა და მედლებისთვის მებრძოლ გუნდს არამცთუ ქულების დაკარგვის, არამედ დამატებითი მაჩვენებლების დათმობის უფლებაც კი არ აქვს, რადგან დიდი შანსია ბოლოს საქმე ამ კომპონენტის დათვლამდეც მივიდეს. სამწუხაროდ, ჩვენს გუნდს არც ამ მხრივ აქვს საქმე მთლად კომფორტულად, რადგან კონკურენტები უფრო ყოჩაღობენ.

მე-9 ტურში ქალთა ნაკრების მეტოქე მონღოლეთი გახლდათ. ელიზბარ უბილავას გუნდს გამარჯვება რომ ულაპარაკოდ სჭირდებოდა ამაზე ბევრი საუბარი არც ღირს, უფრო მეტიც საქართველოს ნაკრებს დამაჯერებელი გამარჯვება მართებდა, როგორც ფსიქოლოგიური, ისე სატურნირო თვალსაზრისით. საბედნიეროდ ასეც მოხდა – 3:1. ნანა ძაგნიძის გამარჯვება და ნინო ბაციაშვილის ყაიმი თითქმის ერთდროულად დაფიქსირდა, რაც სანახევროდ გამარჯვებას ნიშნავდა. მალევე ბელა ხოტენაშვილის მოწინააღმდეგემ საათი გააჩერა და კიდევ ერთი ქულა. ლელა ჯავახიშვილი თეთრი ფიგურებით ყაიმს დასჯერდა.

მეორე ნაკრები სერბეთს ყაიმზე, 2:2 შეუთანხმდა. მესამე გუნდი ვიეტნამთან დამარცხდა 0.5:3.5.

ვაჟთა ნაკრებმა 2.5:1.5 დაამარცხა ბელარუსის ნაკრები. ნინო გურიელმა დაასვენა ბაადურ ჯობავა და მისი ადგილი პირველ დაფაზე მიხეილ მჭედლიშვილმა დაიკავა. ჩვენი გუნდიდან ერთადერთი შეხვედრა ივან ჩეპარინოვმა მოიგო შავი ფიგურებით, დანარჩენებმა ყაიმი ითამაშეს. აღსანიშნავია, რომ ნატურალიზირებული ბულგარელი ჩეპარინოვი ერთადერთია საქართველოს ნაკრებში, ვისაც შეხვედრა არ წაუგია. მან 8 შეხვედრაში 4 გამარჯვება და 4 ყაიმი ითამაშა და ჩვენს გუნდში საუკეთესოა. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები 12 ქულას დააგროვებს და ცოტათი გაიუმჯობესებს პოზიციას, თუმცა დარჩენილ 3 ტურში საერთო სურათის მნიშვნელოვნად შეცვლა გაუჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენმა ვაჟებმა ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგეს, რამაც უკეთესი შედეგის მიღების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხა.

მეორე გუნდმა ლატვიას 2.5:1.5, ხოლო მესამემ აღეირს ასევე 2.5:1.5 მოუგო. ასე რომ ვაჟების სამივე გუნდმა გაიმარჯვა, სამივემ ერთნაირი ანგარიშით.

დასასრულს მოახლოებულ ოლიმპიადის სრულ მიმოხილვას, ტრადიციულად, ვაჟებით დავიწყებთ: ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ბათუმი 2018-ის აღმოჩენას პოლონეთს დაუპირისპირდა. რამდენჯერმე ვთქვით, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ ამერიკელები ოლიმპიადაზე პირველ ნომრად არიან განთესილი, პოლონეთი კი – მეთერთმეტეა. მიუხედავად ამისა, რვა ტურის შემდეგ ამერიკა 15 ქულით ლიდერობდა, პოლონეთი კი 14 ქულით მეორე ადგილზე იყო.

ლიდერთა მატჩი პოლონელთა გამარჯვებით დასრულდა – 2,5:1,5.

8 ტურის შემდეგ 7 გუნდს ჰქონდა 13 ქულა. ექვსმა ერთმანეთში ითამაშა: აზერბაიჯანი ჩინეთთან დამარცხდა – 1,5:2,5, ინდოეთი – სომხეთთან, გერმანიამ და საფრანგეთმა კი ქულები გაიყვეს – 2:2. და მხოლოდ ინგლისს ერგო ნორვეგია, რომელსაც 3:1 მოუგო.

ქალთა შორის თოთხმეტი ქულით ჩინელები და უკრაინელები ლიდერობდნენ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩინეთმა წინა ტურში საქართველოს ქალთა პირველი ნაკრების მძლეველი ყაზახეთი გამოსცადა და 3:1 გაიმარჯვა, უკრაინა კი აზერბაიჯანს დაუპირისპირდა – ფრე 2:2. არანაკლებ საინტერესო წყვილებმა ითამაშეს მომდევნო მაგიდებზე: ამერიკელები უნგრელებს შეხვდნენ, ხოლო სომხებმა ირანელები დაჯაბნეს – 3:1.

ზურაბ აზმაიფარაშვილი: „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“

ბათუმი დღესდღეობით მხოლოდ საჭადრაკო ოლიმპიადით არ არის დაკავებული. აჭარის დედაქალაქში აირჩიეს ფიდეს (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტები. ევროპას მეორე ვადით ზურაბ აზმაიფარაშვილი უხელმძღვანელებს.

ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“ გამართულ არჩევნებში ქართველ მაღალჩინოსანს 50 დელეგატიდან 44-მა დაუჭირა მხარი. აზმაიფარაშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2014 წლიდან მოღვაწეობს, ბოლოს გამართულ არჩევნებში ერთადერთი კანდიდატი გახლდათ. ის თავის ახალ გუნდთან ერთად 2022 წლის ჩათვლით უხელმძღვანელებს ევროპის საჭადრაკო კავშირს.

ზურაბ აზმაიფარაშვილის გუნდში გენერალური მდივანი თოდოროს ჯორბაზოღლუ იქნება, პირველი ვიცეპრეზიდენტის თანამდებობას გუნარ ბიორნსონი დაიკავებს, ვიცეპრეზიდენტები კი დანა რეზნიცე-ოზოლა და იოჰან პოკშტაინერი იქნებიან.

ზურაბ აზმაიფარაშვილი:

– ყველა თქვენგანს მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის. განვლილი 4 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის გაანალიზების შემდეგ, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მეყარა კენჭი ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე და მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მოვიპოვე თქვენი ნდობა. ჩემს გუნდთან ერთად კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია და სწორედ აქედან მომდინარეობს ჩემი გუნდის სლოგანიც – გასაკეთებელი კიდევ ბევრია. თქვენ იცნობთ ჩემს პროგრამას და პროექტებს. ესკ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე მოღვაწეობისას მე და ჩემმა გუნდმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი წარმატებით დავასრულეთ, ჩემს მთავარ მიღწევად კი მიმაჩნია ის, რომ ჩვენი ორგანიზაცია გახდა ერთსულოვანი. დარწმუნებული ვარ მომდევნო ოთხი წელი უკეთესი იქნება. გამოწვევები დიდია, თუმცა ჩემ გვერდით დღეს ის ადამიანები არიან, რომლებთან ერთად წარმატება გარდაუვალია. მომდევნო 4 წელიწადში ჩვენ ევროპის საჭადრაკო კავშირს სხვა სიმაღლეზე გავიყვანთ.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ახალი, რიგით მეშვიდე პრეზიდენტი 46 წლის რუსი პოლიტიკოსი არკადი დვორკოვიჩია.

საპრეზიდენტო არჩევნებში დვორკოვიჩმა 103 ხმა დააგროვა და მთავარი კონკურენტი, ორგანიზაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გეორგიოს მაკროპულოსი (საბერძნეთი) დაამარცხა. ამ უკანასკნელს 78-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი. ბერძენი ფუნქციონერი 1982 წლიდან ხელმძღვანელობს საბერძნეთის ჭადრაკის ფედერაციას, 1986 წლიდან კი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. მესამე კანდიდატმა ნაიჯელ შორტმა (ინგლისი) არჩევნებში მონაწილეობა კონგრესის წინაშე სიტყვით გამოსვლის შემდეგ იუარა და დვორკოვიჩის სასარგებლოდ მოხსნა კანდიდატურა.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პირველ პრეზიდენტად ჰოლანდიელი დიპლომატი ალექსანდერ რუები აირჩიეს. ის ამ თანამდებობაზე 1924-49 წლებში მოღვაწეობდა, მას შემდეგ კი, ფიდეს პრეზიდენტები იყვნენ: ფოლკე როგარდი (შვედეთი; 1949-70), მაქს ეივე (ჰოლანდია; 1970-78), ფრიორიკ ოლაფსონი (ისლანდია; 1978-82), ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები; 1982-95) და კირსან ილუმჟინოვი (რუსეთი; 1995-2018).

სამი ნახევარფინალისტი ცნობილია

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების მატჩები.

გუჩია-დინამო 0:5

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

0:1 შენგელია (58), 0:2 ივანიშვილი (60), 0:3 თოთაძე (68პ), 0:4, 0:5 ზივზივაძე (70, 71)

გურია: თებიძე, ბერიძე, გაგნიძე (ვირუბოვი 76), ჩიკვილაძე, კოტრიკაძე, ჯოჯუა (ბაჯელიძე 62), გურეშიძე, ნარიაშვილი (სკოტარენკო 68), ჯიქიძე, ზაქრაძე, წილოსანი

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ზარია, ივანისენია (ნინუა 80), შენგელია (ქოჩლაძე 65), ივანიშვილი, ერგემლიძე, ზივზივაძე (გილმორი 76)

დასაწყისი დინამოსი იყო. ნახევარ საათში ლევან შენგელიამ, ბუდუ ზივზივაძემ და ლევან ხარაბაძემ ვერ გამოიყენეს თავიანთი შანსები, შემდეგ გურიამ ბურთი დაიჭირა და დინამოს მომენტებიც შეუქმნა, თუმცა მეორე ტაიმში თბილისურმა კლუბმა 12 წუთში 5 გოლი გაიტანა და ყველაფერი სათავისოდ გადაწყვიტა.

58-ე წუთზე ხარაბაძის პასით შენგელიამ გახსნა ანგარიში. ორიოდე წუთში შენგელიას პასით უკვე გიორგი ივანიშვილმა იხეირა და მეორე გოლი გაიტანა. 67-ე წუთზე თბილისელთა სწრაფი შეტევა, მიხეილ ერგემლიძე შეიჭრა საჯარიმოში, იქ კი აკრძალული ხერხით შეაჩერეს – პენალტის ნიშნულიდან ლაშა თოთაძემ გაიტანა. ორიოდე წუთში ჩვენი გუნდის ბომბარდირმა ბუდუ ზივზივაძემ დუბლი გაიფორმა და საბოლოო ანგარიში 5:0 დააფიქსირა. ვიტ ჯორჯია-თელავი 0:3

მეოთხედფინალურ ეტაპზე ერთმანეთს ლიგა 2-ის კონკურენტები დაუპირისპირდნენ და კახურმა გუნდმა გამანადგურებელი სხვაობით გაიმარჯვა. ვიტ ჯორჯიას რბევა 32-ე წუთზე ილია ბერიაშვილის გოლით დაიწყო. 63-ე წუთზე ვასილ გოგოლიძის გატანილი ბურთით კახელთა უპირატესობა ორბურთიანი გახდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიში კი, 72-ე წუთზე მიხეილ ბაშალეიშვილის დააფიქსირა.

მეტა-გაგრა 0:1

ღირსეულად ეთამაშა ეროვნული ლიგა 2-ის გუნდს რეგიონული ლიგის წარმომადგენელი ბათუმის მეტა. აჭარლებმა გაგრელებთან მატჩი 51-ე წუთზე რატი ცაცკრიალაშვილის ერთადერთი გაშვებული გოლით წააგეს.

მეოთხედფინალურ ეტაპზე სათამაშო მხოლოდ ქუთაისის ტორპედოსა და ქობულეთის შუქურას დარჩათ. შეხვედრა 24 ოქტომბერს გაიმართება. ნახევარფინალში კი უკვე გავიდნენ დინამო, თელავი და გაგრა.

გია ცეცაძემ ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა დაასახელა

12 და 16 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასკვნითი 2 მატჩი ელის.

გია ცეცაძის გუნდი ჯერ ფინეთს ესტუმრება, შემდეგ – პოლონეთს. ამჟამად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფში 9 ქულით მესამე ადგილს ინაწილებს ფინეთთან.

მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ზემოხსენებული შეხვედრებისთვის მოემზადებიან:

მეკარეები: ლუკა გუგეშაშვილი (დილა), ოთო გოშაძე (დინამო ბთ), ლუკა სანიკიძე (თელავი);

მცველები: გიორგი ქანთარია (ნემანი, ბელორუსი), ლუკა გადრანი (რუსთავი), გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), ანდრო გიორგაძე (ვორსკლა, უკრაინა), ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობოური (ორივე დინამო თბ), რომან ჩაჩუა (სამტრედია), გურამ გიორბელიძე (სიონი);

ნახევარმცველები: აკაკი შულაია, ნიკა ნინუა, გიორგი კუცია (ყველა დინამო თბ), გიორგი ქოჩორაშვილი (ხირონა, ესპანეთი), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა), გიორგი ხარაიშვილი (გიოტებორგი, შვედეთი), ლევან ელოშვილი (კაპფენბერგი, ავსტრია);

თავდამსხმელები: ბექა მიქელაძე (ანორთოსისი, კვიპროსი), ირაკლი ბუღრიძე (ჩიხურა), ბექა ქავთარაძე (რუსთავი), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი).

ტორპედომ დილა დაამარცხა და სამეულს მიუახლოვდა

ტორპედო-დილა 2:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 ლაჩნი (6), 2:0 კუტალია (44)

ტორპედო: კვასხვაძე, ხურცილავა, აზაკცი, ქიმაძე (გეგეჭკორი 65), მარინი, კობახიძე, ცინცაძე, დაფე, ჰლინკა, კუტალია (გიგაური 59), ლაჩნი (კაპანაძე 80)

დილა: გუგეშაშვილი, გ.გადრანი, ჩადუნელი, კობერიძე, კორიფაძე, სუხიაშვილი (ჯუფი 46), რაზმაძე (ლემპტი 68), ქავთარაძე, გოგუა (ნონდი 82), ნონიკაშვილი, რიბეირო

ეროვნული ლიგის მე-19 ტურის გადადებული მატჩი ქუთაისის ტორპედოსა და გორის დილას შორის, როგორც იქნა გაიმართა და რიონისპირულმა კლუბმა საკუთარ მოედანზე მეტოქე დამაჯერებლად, 2:0 დაამარცხა.

ანგარიში შეხვედრის დასაწყისშივე, მე-6 წუთზე გაიხსნა: მარჯვენა ფლანგიდან გიორგი ქიმაძე აწვდიდა, საჯარიმოში ორთაბრძოლა ტორპედოს სლოვაკმა ლეგიონერმა მილოშ ლაჩნიმ მოიგო, მეკარეს დაასწრო და ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლიც გაიტანა.

პირველივე ტაიმში, 44-ე წუთზე დაფიქსირდა. კუთხური მათე ცინცაძემ ჩააწოდა, საჯარიმოში კი ყველას ლევან კუტალიამ დაასწრო.

ტორპედომ ამ მოგებით სატურნირო მდგომარეობა გამოიკეთა, პლუს, 7 მატჩია რიონისპირელებს გოლი არ გაუშვიათ.

სატუნირო ცხრილი:

1.საბურთალო	27	19	3	5	48-22	60
2.დინამო	26	17	4	5	50-24	55
3.დილა	27	13	9	5	48-34	48
4.ტორპედო	25	13	5	7	40-20	44
5.ჩიხურა	27	13	5	9	41-26	44
6.ლოკომოტივი	26	9	5	12	33-43	32
7.რუსთავი	27	6	11	10	25-31	29
8.სიონი	27	5	6	16	22-46	21
9.სამტრედია	27	2	9	16	21-49	15
10.კოლხეთი	27	4	7	16	23-56	13

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფავორიტების დღე

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მორიგი ტურის მატჩები.

დორტმუნდი-მონაკო 3:0

ნათელი იყო, რომ მონაკო ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას დორტმუნდელებს. მიზეზი მარტივია – მიმდინარე სეზონში გუნდები სხვადასხვა პლუსზე არიან. საფეხბურთო პოლუსს ვგულისხმობთ: მონაკო საფრანგეთის ჩემპიონატში აუტსაიდერთა შორის არის, ხოლო დორტმუნდი ბუნდესლიგას ლიდერობს.

თავიდან გუნდები უფრო მოედნის ცენტრს კონტროლს ცდილობდნენ, მაგრამ დორტმუნდი თანდათან უფრო აგრესიული გახდა, მწვავედაც შეუტია და ბურთსაც უფრო მეტად აკონტროლებდა. შესვენების შემდეგ ეს დისბალანსი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა და საბოლოოდ შედეგშიც აისახა.

ნაპოლი-ლივერპული 1:0

ახლა ჯგუფში ინტრიგა კიდევ უფრო გაძლიერდა. ნეაპოლიტანელებმა პირველ ტურში სერბეთში წაიფორხილეს, რაც თითქოს ფატალური უნდა გამომდგარიყო, მაგრამ მეორე ტურის შემდეგ სულაც ცხრილის სათავეში მოექცნენ.

ლივერპული თავად არის დამნაშავე რომ წააგეს. თითქოს იურგენ კლოპის გუნდი ყაიმზეც თანახმა იყო. მერსისაიდელებს ოსპინა თითქმის არ შეუწუხებიათ, ნაპოლი კი უფრო საინტერესოდ და აქტიურად თამაშობდა.

საბოლოოდ, მატჩის მიწურულს მოახერხეს კიდეც გოლის გატანა და საქმე საგრძნობლად გამოიკეთეს.

ტოტენჰემი-ბარსელონა 2:4

ლამაზი სანახაობა გამოდგა, თუმცა ჰეფი ენდი მხოლოდ ერთი გუნდის იყო. ბარსელონამ როგორც დაიწყო, ისე დაასრულა – მე-2 წუთზე კოუტინიომ ანგარიში გახსნა, ბოლო წუთზე კი მესიმ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:4.

შემტევი ფეხბურთისთვის ორივე მზად იყო, მაგრამ ბარსა განსაკუთრებული იყო, ივან რაკიტიჩს გოლი კი – საოცრება.

ასეთი სანახაობის გამო 90 წუთი დაკარგულად ნამდვილად არ ითვლება. ბარსელონამ კი ფეხბურთისგან არა მარტო სიამოვნება მიიღო, არამედ, მნიშვნელოვანი 3 ქულა და ახლა ცხრილის სათავეში არიან.

პსვ-ინტერი 1:2

ახალგაზრდა და ამბიციურმა პსვ-მ მეტოქეს პრობლემები კი შეუქმნა, მაგრამ საბოლოო მიზანს, უფრო გამოცდილმა ინტერმა მიაღწია.

იტალიელებმა მეორედ მოიგეს შეხვედრა, სადაც თავიდან მეტოქე დაწინაურდა. ჯერ ტოტენჰემთან, ახლა კი პსვ-სთან. ჰოლანდიელებმა მალევე გახსნეს ანგარიში, ამასთან ეფექტური გოლით. თუმცა, ინტერმა ტაიმის ბოლოს მოუმატა და რაჯა ნაინგოლანმა მეკარის შეცდომით ისარგებლა. მეკარის შეცდომა იყო მეორე გოლიც, რომელიც მაურო იკარდიმ გაიტანა. მოკლედ, პსვ ზუტმა დააღალატა.

ატლეტიკო-ბრიუგე 3:1

მადრიდის ატლეტიკომ საბოლოოდ გატეხა ბრიუგეს წინააღმდეგობა. მართალია, თავიდან ესპანელები დაწინაურდნენ, მაგრამ ბრიუგემ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. დიეგო სიმეონეს შეგირდებმა მხოლოდ მეორე ტაიმის მეორე ნახევარში მოახერხეს გამარჯვების მოპოვება.

ჰოფენჰაიმი-გალათასარაი 1:0

მიუხედავად მინიმალური ანგარიშისა, ორივე გუნდმა მაყურებელს სანახაობრივი თამაში შესთავაზა. დაცვა დაივიწყეს და მხოლოდ შეტევაზე იყვნენ კონცენტრირებულნი. თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთისთვის მინიმუმ 3-4 გოლი გაეტანათ, მაგრამ გულშემატკივრებმა მხოლოდ ერთი იხილეს და ისიც მასპინძელთა შესრულებით.

ლოკომოტივი-შალკე 0:1

ქართველი ფეხბურთელის, სოლომონ კვირკველიას გუნდი ცუდ ფორმაშია. თითქოს იოლი ჯგუფი შეხვდა, ხმაურიანი მეტოქის გარეშე, მაგრამ ზედიზედ მეორე მატჩი წააგეს და ჯგუფიდან გასვლა გაირთულეს.

მატჩის ერთადერთი გოლი კი 88-ე წუთზე გავიდა და შალკე გაიხარა.

ჰსვ-სრვენა ზვეზდა 6:1

ფრანგული კლუბი თუ ხასიათზეა, არავის დანდობა არ იცის. ეს გრანდებმაც კი გამოცადეს საკუთარ თავზე და აბა ცრვენა ზვეზდა მათთან რა მოსატანია.

ბელგრადელთა რბევა ნეიმარმა დაიწყო, რომელმაც ჩინებულად შეასრულა საჯარიმო. ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ იხეირა სტანდარტულით და უნდა ითქვას რომ, ორივე ფანტასტიკური იყო. ჯამში ნეიმარმა ჰეთ ტრიკი გაიფორმა, მისმა გუნდმა კი იოლი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში.

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

ოთხი წლის ბავშვი სარეცხ მანქანაში გაიჭედა

მალაიზიაში ოთხი წლის ბავშვი სარეცხ მანქანაში შეძვრა, როდესაც მშობელთან ერთად სამრეცხაოში იმყოფებოდა.

პატარა ბიჭი დამალვას ცდილობდა, მაგრამ შიგნით ჩაკეტილი აღმოჩნდა. დედამ გარკვეული დროის შემდეგ შენიშნა შვილის დაკარგვა, რომელიც სარეცხ მანქანაში იპოვა და მაშინვე სამაშველო სამსახურს დაურეკა. ვიდეოკადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობენ მაშველები მძიმე ინსტრუმენტებით მანქანის თავსახურის გატეხვას. რამდენიმე მცდელობის შემდეგ სარეცხ მანქანას თავსახური ახადეს და ბავშვი ამოიყვანეს.

განთავისუფლებული ბავშვი მაშინვე იქვე მდგომმა ატირებულმა დედამ ხელში აიტაცა. თავად ბავშვმა კი, კადრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეშინება ვერც კი მოასწრო. მოგვიანებით მან აღიარა, რომ ასეთი რამ მას მულტფილმში ჰქონდა ნანახი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტურისტებმა გაცოფებულ სპილოს ძლივს გაასწრეს

ინდოეთის ბანდიპურის ეროვნულ პარკში გარეული სპილო გამოეკიდა ტურისტებს, რომლებიც მას ავტობუსიდან ადევნებდნენ თვალს.

ცხოველმა გზის პირას მდგომი მანქანა შენიშნა და მისკენ გაქანდა. მძღოლმა სასწრაფოდ უკანა სვლა ჩართო და მანქანა უკან დახია, მაგრამ სპილო თავს არ ანებებდა. დევნა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, საბოლოოდ სპილომ ავტობუსის დევნას თავი ანება და თავის ჯოგს შეუერთდა.

– იმ ადგილის გადაკვეთა, სადაც სპილოები იმყოფებიან, არცთუ ყველაზე გონივრული იდეაა, – განაცხადა ავტობუსის მძღოლმა, – უმჯობესია, ასეთ დროს გაჩერდე და მათ გავლის საშუალება მისცე. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გააგრძელო გზა.

პიცის დამტარებელმა ქალის გატაცება აღკვეთა



ამერიკის ვისკონსინის შტატის დასახლება უოლდოში პიცის დამტარებელმა გადაარჩინა ქალი, რომელიც მისმა ყოფილმა პარტნიორმა მოიტაცა.

როდესაც 24 წლის ჯონ გრანდლმა შემკვეთს პიცა მიუტანა, სახლის სიღრმეში ნაცემი ქალი შენიშნა. მან ჯონს ჩალურჯებული თვალი დააანახა და უხმოდ წარმოთქვა: „დამეხმარეთ“, შემდეგ კი ასევე დაამატა: „პოლიციაში დარეკეთ“. მანქანასთან დაბრუნებულმა პიცის დამტარებელმა სამაშველო სამსახურის ნომერი 911 აკრიფა და ნანახის შესახებ აცნობა.

ადგილზე მისულმა შერიფის თანაშემწეებმა გაარკვიეს, რომ პიცა სახლის დიასახლისის ყოფილმა პარტნიორმა შეუკვეთა. ის კარზე დაუკაკუნებლად შევარდა სახლში, ქალს ცემა, შემდეგ კი მტვერსასრუტის მავთულით ხელები და ფეხები შეუკრა, ხოლო პირი პირსახოცით აუკრა. მამაკაცმა ქალს ხელ-ფეხი გრანდლის მისვლამდე მცირე ხნით ადრე გაუხსნა.

მამაკაცი დააპატიმრეს და ოჯახური ძალადობის შვიდ შემთხვევაში წაუყენეს ბრალდება, მათ შორის დახრჩობისა და ადამიანის გატაცების შემთხვევების. გარდა ამისა, მამაკაცმა აღიარა, რომ ავტომობილში ცეცხლსასროლი იარაღი ედო.

ამებამ მოცურავე მოკლა

ამერიკელი მამაკაცი ტალღოვან აუზში სიცოცხლისთვის სახიფათო ამებით დასნებოვნების შედეგად დაიღუპა.

სერფინგით გატაცებული 29 წლის ფაბრიციო სტაბილე ტეხასის შტატის ქალაქ უეიკოს ტალღოვან აუზს სექტემბრის შუა რიცხვებში სტუმრობდა. ცურვიდან მალევე მამაკაცს ძლიერი თავის ტკივილები დაეწყო, რომელსაც თავის ტკივილის საწინააღმდეგო წამლები ვერაფერს შველოდა. თავი ისე ძლიერად სტკიოდა, რომ გასაგებად ლაპარაკსაც კი ვეღარ ახერხებდა.

ექიმებმა სტაბილეს ბაქტერიოლოგიური მენინგიტი დაუდგინეს, თუმცა მისმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ მას ანალიზი გაუკეთეს და გაირკვა, რომ პირველადი ამებური მენინგოენცეფალიტი ჰქონდა, რომლის დროსაც სიკვდილიანობა 98 პროცენტია. მამაკაცი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ აუზი დახურეს, ხოლო წყალი ლაბორატორიაში ექსპერტიზაზე გადააგზავნეს.

ასტროპროგნოზი

5 ოქტომბრისათვის

ვერძი – იყავით გულმოწყალე, არ იძუნწოთ. დაეხმარეთ ადამიანებს და თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისათვის. ენერგია გემატებათ. **ტყუპები** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი ჩანაფიქრის განხორციელებაში გეხმარებათ. უკან არ დაიხიოთ. **კირჩხიბი** – საქმიან შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ მიიღებთ. დაიტვირთეთ ფიზიკურად. **ლომი** – უსიამოვნო ინფორმაცია დაგძაბავთ. ემოციები მოთოკეთ და თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ქალწული** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **სასწორი** – მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ღრიანკალი** – სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **მშვილდოსანი** – დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის. **თხის რქა** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **თევზები** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ქართველი კომიკოსი; 2. ნიშა ოთახის კედელში, სადაც სანოლია განთავსებული; 3. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 4. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 5. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 7. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 11. დაბალი, მოკლეფეხებიანი და გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 12. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 13. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 14. გულის ერთ-ერთი ნაწილი; 15. ბუბა ხოტივარის ფილმი; 17. კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 19. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 5. ახალშობილი ბატკნის ხუჭუჭბეწვიანი ტყავი; 6. ქართველი კომპოზიტორი; 8. უბანი თბილისში; 9. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 10. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი მექანიკოსი; 11. ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისგან დამზადებული ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩასასხმელად; 13. სამთო მრეწველობაში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 14. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 16. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 21. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კატაი; 2. ოხორი; 3. ანაკლია; 4. იხვი; 5. სონი; 6. პლატინა; 9. ანანიაშვილი; 10. კვირინალე; 11. მანდოლინა; 14. ჭუპრი; 16. ონიმა; 18. ნეილონი; 20. მოლუსკი; 23. ლოტი; 24. კანტი; 25. სქემა; 26. გეტა.

თარაზულად: 7. ანჩისხატი; 8. მონოციკლი; 12. ფლავი; 13. ლაციო; 15. ტენგე; 17. პერგამონი; 19. სევრი; 21. ფიალა; 22. გნოლი; 27. ინფანტინო; 28. ტექტონიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დილანი; 2. არაქსი; 3. მაშტოცი; 4. ბორჩალო; 5. იორდანე; 7. ბოჭორმა; 11. სქური; 12. უაილდი; 13.. მორავია; 14. პლატინა; 15. კახასა; 17. პლომბი; 19. კივი.

თარაზულად: 5. იომიური; 6. დიზაჟიო; 8. სოჭი; 9. გორდა; 10. აპნისი; 11. საბა; 13. მაჭახელა; 14. პრუსი; 16. ოპელი; 18. ოჰარა; 20. ნირვანა; 21. სორბიტი.

ანჩისხატის მიმდებარე ქუჩას დაჩი უჯარმელის სახელი მიენიჭა

თბილისის აღმშენებლისა და განმასრულებელი მეფის დაჩი უჯარმელის სახელი ანჩისხატის ტაძრის მიმდებარე ქუჩას მიენიჭა.

მერიას გაეგზავნა თხოვნა, ამავე ქუჩაზე დაიდგას მეფე დაჩის განსაკუთრებული ბარელიეფი ისტორიის შემცველი მონუმენტალური დაფით.

ღონისძიება ეძღვნება ანჩისხატის ტაძრის 1500 წლისთავს. დედაქალაქის ეს პირველი ტაძარი მეფე დაჩის აშენებულია.

იდეის ინიციატორი ანჩისხატის ისტორიის მკვლევარი ზაზა ნანობაშვილია.

დაჩი უჯარმელი ვახტანგ გორგასლის შვილია. იგი პირველი მეფეა, რომელიც დედაქალაქ თბილისში იჯდა სამეფო ტახტზე.

სამწუხაროდ, თბილისში დღემდე არ არსებობდა ამ დიდი მეფის პატივსაცემად რამე ნიშანი და არც მისი სახელობის ქუჩა.

„დაჩიმ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა და, მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ცენტრად. მის დროს თბილისში მოსახლეობა მომრავლდა, აშენდა მარიამწმიდის ეკლესია, დღევანდელი ანჩისხატის ტაძარი“, – იუწყებიან ისტორიკოსები.

სამომავლოდ იგეგმება, ამ დიდი მეფის სახელი დაერქვას მარჯვენა სანაპიროს ნაწილს, მოედანს, სკვერს...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თამარ ივერი სალომე ზურაბიშვილს აკრიტიკებს

– პრეზიდენტი შეიძლება იყოს პიროვნება, ვისთვისაც საქართველო ოდითგანვე მხოლოდ და მხოლოდ გაგონილ-მოყოლილ-წაკითხული ქვეყანაა და არც „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველს“ გაუვლია და არც „იავნანას“ არსს ჩაწვდომია არასდროს? – კითხულობს ოპერის მომღერალი თამარ ივერი და ამას საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მისამართით ამბობს:

– როგორ ფიქრობთ, სხვა „მარგალიტებს“ რომ თავი დავანებოთ, საქართველოს პრეზიდენტი შეიძლება იყოს ადამიანი, რომლისთვისაც ქართული ენა ერთ-ერთ უცხო ენად ითვლება და მას... სანდრა რულოვსის დონეზეც კი ვერ ფლობს? სხვა თუ არაფერი, შეიძლება პრეზიდენტი სიტყვა მართლმადიდებელს ვერ წარმოთქვამდეს და მას რაღაც დამახინჯებულად „მაჰმადიანის“ მსგავს გამოთქმაში ურევდეს?

პრეზიდენტი შეიძლება იყოს პიროვნება, რომლისთვისაც საქართველო ოდითგანვე მხოლოდ და მხოლოდ გაგონილ-მოყოლილ-წაკითხული ქვეყანაა და არც „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველს“ გაუვლია და არც „იავნანას“ არსს ჩასწვდომია არასდროს? კარგით რაა...

მეგობარო, თუ შანელის სუნამოს, როლექსის საათს ან ჰენესის კონიაკს მჩუქნი... ბაზრობაზე ნუ იყიდი, მეცი პატივი და ორიგინალი მაჩუქე... და თუ პრეზიდენტს „ჩუქნით“ ქვეყანას, თქვე დალოცვილებო, რაღა გაპუდრულ „ფეიკზე“ შეაჩერეთ არჩევანი... ერში ღირსეული დაილია? ნუ იქნება პარტიულ/არაპარტიული, არ მინდა არც ნიკოლაძის, არც დავით აღმაშენებლის, არც რუსთაველის, სტენდალის ან მიქელანჯელოს შთამომავალი... მსოფლიო არავის მონაგარს არ აუშენებია... ადექი, დალოცვილო, ვინმე უცხოეთში წარმატებამიღწეული, აქ დაბადებულ-გაზრდილი დააბრუნე, ბოლო-ბოლო, ქუჩიდან მოიყვანე, თუნდაც სოფლიდან ჩამოიყვანე, ოღონდ ღირსეული, დღემდე სადმე უჩუმრად მყოფი, მაგრამ შინაგანად დიდი ქართველი!

ამერიკის კანონში რომ განსაკუთრებული სიმკაცრითაა დაცული, პრეზიდენტი აუცილებლად ამ ქვეყანაში უნდა იყოს დაბადებულიო, ეს რა, მხოლოდ მათი იურიდიულ/საპასპორტო ახირება ჰგონია ვინმეს? არა, ბატონო, ამ მუხლში სულ სხვა კოდია ჩადებული, რაც შენი სამშობლოს ჰაერის სხვაგვარ შეგრძნებას და სხვაგვარ გულისცემას ნიშნავს.

რატომ ატყუებთ ერს, რატომ ახვევთ თავს კანდიდატს, რომლის დამახინჯებულ, ხშირად უცენზურო გამონათქვამებსა და აზროვნებაზე ხალხსაც ახითხითებთ და თავადვე თქვენ კულუარებში და პირად შეხვედრებშიც მშვენივრად ხითხითებთ. არის ფაქტები, იმიტომ, რომ ზემოდანაა დავალება? ეს ხომ არა მხოლოდ თავის მოტყუებაა, არამედ ქვეყნის მოტყუება, რითიც ხვალ და ზეგ ისევ თქვენვე დაზარალდებით.

თავის დროზე ამ ადამიანის დეპუტატობასა და პარლამენტში მოხვედრას მეც და ყველა საკმაოდ დადებითად და პოზიტიურად შევხვდით, რადგან ბევრნი ისეთები სხედან „იქ“ სკამებზე, რომ ამ ქალბატონის ადგილიც ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო მაგრამ... პრეზიდენტი? ეს ხომ სულ სხვა თემა და განზომილებაა.

მე მაინც დიდ იმედს ვიტოვებ, რომ 28 ოქტომბერს ხალხი, მრავალრიცხოვანი „ანალი(სტები)ტიკოსები“ და უკვე „ტვინგანძრეული“ ჟურნალისტები არ მოიტყუებენ თავს და არა ბაზრობაზე 20 ლარად ნაყიდ შანელის სუნამოსა და ჰენესის კონიაკის მსგავს „ფეიკ“ ქართველ პრეზიდენტს, არამედ „ორიგინალ“ ქართველ, ღირსეულად მოსაუბრე/მოაზროვნე „მართლმადიდებელ“ პრეზიდენტს მისცემს ხმას!

ამერიკელს ბილეთები აერია და გამდიდრდა

ამერიკის ინდიანის შტატის ქალაქ ევანსვილში მამაკაცმა შეცდომით სულ სხვა ლატარიის ბილეთები იყიდა და 700 ათას დოლარზე მეტი მოიგო.

ლატარიის მეგა მილიონის გათამაშების წინ გერბი შიჰორნმა მაღაზიაში ლატარიის ბილეთების შესაძენად შეიარა. მან 10 დოლარი გადაიხადა, სახლში მისულმა კი ნახა, რომ სხვა ლატარიის ბილეთები შეეძინა. მამაკაცი ფიქრობს, რომ ან მას თავად შეეშალა, ან მისი ნათქვამი გამყიდველმა სწორედ ვერ გაიგო.

შეცდომით შეძენილმა ბილეთებმა კი შიჰორნს 703.588 დოლარი მოაგებინა. როდესაც მან მოგების შესახებ შეიტყო, მადლობის სათქმელად მაღაზიაში დაბრუნდა.

– მეორე დილით მაღაზიაში შევედი და გამყიდველს ვუთხარი: „როგორი გახარებული ვარ, რომ შეცდომა დაუშვით“, – განაცხადა შიჰორნმა.

ამერიკელი მოგებული თანხით – გადასახადების დაფარვას, ხოლო დარჩენილი თანხით სახლის შეკეთებას აპირებს.

ფეხმძიმე სვირინგმა ინვალიდად აქცია

კოლუმბიელმა ლუიზა ფერნანდამ სვირინგი ფეხმძიმედ ყოფნის დროს გაიკეთა, ინფექცია შეეყარა და დაინვალიდდა.

სვირინგში, რომელიც 16 წლის გოგონამ მარჯვენა მკერდზე გაიკეთა, დაავადების გამავრცელებელი ბაქტერიები მოხვდა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ის ვეღარასოდეს შეძლებს ფეხზე გავლას, ვინაიდან ინფექციამ მის ზურგის ტვინში შეაღწია. მას სხეულიდან ზედმეტი სითხის მოსაშორებლად ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, რის შემდეგაც აპენდიციტი განუვითარდა. მრავალრიცხოვანი წამლების გამო, რომლებსაც ფერნანდა იღებდა, მან მკვდარი ბავშვი დაბადა, ამის შედეგად კი დეპრესიაში ჩავარდა და, იძულებული გახდა, ფსიქოთერაპევტისთვის მიემართა.

გოგონამ გადაწყვიტა, საკუთარი პრობლემების შესახებ ჟურნალისტებისთვის მოეთხრო და მათი დახმარებით გაეფრთხილებინა თანატოლები სვირინგის სახიფათოობის თაობაზე.

პატარა გოგონამ პარალიზებული მამის მოვლა საკუთარ თავზე აიღო

ჩინეთში ექვსი წლის გოგონამ საკუთარ თავზე აიღო პარალიზებული მამის მოვლა მას შემდეგ, რაც მამაკაცი მისმა მეუღლემ მიატოვა.

ტიან ხაინჩენი 2016 წლის მარტში დაინვალიდდა, როდესაც ტაქსით მგზავრობის დროს სერიოზულ ავარიაში მოყვა. მამაკაცს სხეულის ქვედა ნაწილი მთლიანად პარალიზებული აქვს. ორთვე-ნახევრის შემდეგ მას ცოლი დაშორდა და უფროსი შვილიც თან წაიყვანა. მან მეუღლეს მოატყუა, ვითომ დედასთან რამდენიმე დღით სტუმრად მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ ქმარს აღარ დაჰკავშირებია. ოფიციალურად წყვილი ერთმანეთს არ დაშორებია. მამაზე მთელი მზრუნველობა საკუთარ თავზე მისმა ექვსი წლის გოგონა ცზია ცზიამ აიღო.

ყოველ დილით გოგონა ექვს საათზე იღვიძებს და ნახევარი საათის განმავლობაში მამას სხეულზე მასაჟებს უკეთებს. სკოლაში წასვლამდე ის მას კბილებს ახეხვინებს, ბანს და პირს პარსავს. ცზია ცზია სახლში დაბრუნების შემდეგ სადილს ამზადებს და მამას აჭმევს, შემდეგ კი სახლში გადაადგილებაში ეხმარება.

– მამაზე მზრუნველობა საერთოდ არ მღლის, – განუცხადა ჟურნალისტებს პატარა გოგონამ. მან ასევე აღიარა, რომ დედა არ ენატრება, ვინაიდან ის მამაზე საერთოდ არ ზრუნავდა, თუმცა, ამავე დროს, ძალიან ენატრება თავისი უფროსი ძმა.

უზარმაზარმა ნიანგმა თანამოძმე შეჭამა

ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მდინარე დეილიზე მეთევზეებმა ვიდეოზე გადაიღეს უზარმაზარი ნიანგი, რომელმაც დაიჭირა და შეჭამა მომცრო ზომის თანამოძმე.

ერთ-ერთი მეთევზის ვენდი ჰიგსის თქმით, მათ რეპტილია, რომელსაც პირში ნანადირევი ეჭირა, მაშინ შენიშნეს, როდესაც სახლში ბრუნდებოდნენ. პატარა ნიანგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, თუმცა წინააღმდეგობას აღარ უწევდა და მისი ყბებიდან თავის დაღწევას აღარ ცდილობდა. როდესაც მეთევზემ გადაღება დაიწყო, დიდი ნიანგი მსხვერპლთან ერთად წყლის სიღრმეში გაუჩინარდა.

– მართალია, თევზები ვერ დავიჭირე, თუმცა კარგია, რომ კამერით ასეთი იშვიათი შემთხვევა გადავიღე, – ამბობს ჰიგსი, – ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება.

ინდოელმა ახლადშეუღლებულმა ტუალეტის გამო თავი მოიკლა

ინდოეთის ტამილნადის შტატის მცხოვრებმა საკუთარი ქორწილის შემდეგ თავი მალევე იმის გამო მოიკლა, რომ სახლში ტუალეტი არ ჰქონდა.

26 წლის სელადურაიმ მომავალი მეუღლე სამსახურში გაიცნო. ქორწილის შემდეგ გოგონა მასთან გადავიდა საცხოვრებლად და აღმოაჩინა, რომ სახლში ტუალეტი არ იყო. ქალს არ შეეძლო იმასთან შეგუება, რომ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქუჩაში უნდა გასულიყო და ქმარს გაშორდა.

მეორე დღეს სელადურაი სამსახურში აღარ მისულა. მისი ცხედარი მეზობელ ქალაქში, ჭაში აღმოაჩინეს. მან დატოვა წერილი, რომელშიც ოჯახს პატიებას სთხოვდა და ითხოვდა, რომ მის სიკვდილში მისი მეუღლე არ დაედანაშაულებინათ.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს ტუალეტზე ხელი არ მიუწვდება და ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ქუჩაში უწევთ.

ყველაზე უიღბლო ავსტრალიელი ხანძრისგან მეექვსედ დაზარალდა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ პარკსის მკვიდრი მეექვსე ხანძრის გაჩენაშია ეჭვმიტანილი და მისით პოლიცია დაინტერესდა.

სასწრაფო დახმარების თანამშრომელ მაიკლ მაკრეის სამჯერ დაეწვა სახლი, ორჯერ ხანძარი სამსახურში გაუჩნდა, ერთხელ კი ცეცხლმა სასწრაფო დახმარების მანქანა გაანადგურა. ამ ყოველივეს მიუხედავად, ის თავს ქალაქის ყველაზე უიღბლო ადამიანად არ მიიჩნევს.

პრობლემები 2001 წელს დაიწყო, როდესაც მაკრეი ქალაქ ფორბსიში ცხოვრობდა. ვიღაცამ ნავთით სავსე ბოთლი სასწრაფო დახმარების სადგურის ფანჯარაში შეაგდო, სადაც ის მუშაობდა. ერთი კვირის შემდეგ უცნობმა ბოროტმოქმედმა მისი მანქანა დაწვა. იმავე ღამეს სასწრაფო დახმარების შენობა ისევ ცეცხლის ალში გაეხვია. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ხანძარმა მაკრეის სახლი გაანადგურა.

პოლიცია არ გამორიცხავს, რომ სწორედ ის არის ცეცხლის წამკიდებელი, მით უმეტეს, რომ მოტივიც არსებობდა: ხელმძღვანელობამ მაკრეის თხოვნა პარკსიში მისი გადაყვანის თაობაზე რეაგირების გარეშე დატოვა. ამ ვერსიის დამტკიცება ვერ მოხერხდა.

ფორბსში დამწვარი სასწრაფო დახმარების სადგური დახურეს და ამის შემდეგ მაკრეიმ პარკსში გადასვლა შეძლო. 2018 წელს მის ახალ სახლს ცეცხლი გაუჩნდა, თუმცა მისი ჩაქრობა დროულად მოასწრეს. ერთი თვის შემდეგ ისევ გაჩნდა ხანძარი და ამჯერად სახლი მთლიანად დაიწვა. პოლიცია ცეცხლის განზრახ წაკიდებას ვარაუდობს და ამიტომ ფორბსის ხანძრებთან მისი კავშირის გარემოებების დასადგენად გამოძიება განახლდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6159

ევრო — 3.024

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3983

100 რუსული რუბლი — 3.9885

ამინდის პროგნოზი 5 ოქტომბრისთვის

ნანუკა ჟორჟოლიანი პრეზიდენტს როსტოს შეწყალებას სთხოვს

ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მისი გადაცემის „ნანუკას შოუს“ ყოფილი თანაწამყვანის ლევან როსტოშვილის, იმავე როსტოს შეწყალებას სთხოვს:

– ბატონო პრეზიდენტო, შეიწყალეთ ლევან როსტოშვილი. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩემი მეგობარია, ბრალი აღიარა, სასჯელის ნახევარი მოიხადა, მისი პირველი პატიმრობაა. კომისიის ყველა წევრმა ორჯერ მოაწერა ხელი მის შეწყალებას. ციხე რეკომენდაციას გაძლევთ მასზე, როგორც კარგი ყოფაქცევის პატიმარზე. იქნებ მისცეთ შანსი, ცხოვრება თავიდან დაიწყოს.

ანრი ჯოხაძემ ნიკო გომელაურის ლექსზე სიმღერა დაწერა

„ჩემს ქალაქში არაფერი მაოცებს“ – ნიკო გომელაურის ამ ლექსზე მომღერალმა ანრი ჯოხაძემ სიმღერა დაწერა და მასზე კლიპიც თავად გადაიღო.

სიმღერას ანრიმ „შენთვის“ უწოდა და მასში უამრავი ცნობილი სახე გადაიღო. მომღერლის ახალ კლიპში მონაწილეობენ გიორგი გასვიანი, ანრი გუჩმანიძე, ნინი ბადურაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე, ნუკი კოშკელიშვილი, თაკო აბაშიძე, მაკა შალიკაშვილი, ზუზუ ბეჟაშვილი, გიორგი გილიგაშვილი, მაკა რაზმაძე, შორენა ბეგაშვილი, ქრისტინე იმედაძე, ნინო გაჩეჩილაძე, გია ჯაჯანიძე, კესარია აბრამიძე, მერსი სულხანიშვილი, დალი ჩიტალაძე, ზალიკო ბერგერი...

სიმღერისთვის ვიდეორგოლის გადაღებები ძირითადად თბილისში მიმდინარეობდა. კლიპის პრემიერა უფრო ადრე უნდა გამართულიყო, თუმცა მისი წარდგენა ანრიმ ამ დრომდე ვერ მოახერხა.

მომღერლის ახალი ნამუშევრის სატელევიზიო პრემიერა „პრაიმ შოუში“ შედგა, ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მაყურებელი დადებითად შეხვდა. მას უკვე უამრავი ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გარი ლინეკერი: „მესი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია“

ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა გარი ლინეკერმა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, განაცხადა, რომ მესიზე ძლიერი ფეხბურთელი არ დაბადებულა და ის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა.

– ვინმეს სერიოზულად ჰგონია, რომ მესიზე უკეთესი ფეხბურთელი არსებობს? ის, უბრალოდ, ერთი თავით მაღლა დგას სხვებზე, – დაწერა ლინეკერმა ტვიტერის თავის გვერდზე.

მესიმ ტოტენჰემს ორი გოლი გაუტანა და ბარსელონის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ბარსელონამ ტოტენჰემს 4:2 მოუგო.

იურგენ კლოპი: „წაგება დავიმსახურეთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ნაპოლისთან მისი გუნდი მარცხს იმსახურებდა, რადგან შეტევაში საკმარისად აქტიურად არ უთამაშია.

კლოპის აზრით, ლივერპულს დაცვითი ფეხბურთის თამაში კარგად არ გამოსდის:

– მეტოქემ გვაჯობა, ამიტომ ეს მარცხი შემთხვევითი არ არის. როდესაც შენს სტილს არ თამაშობ, ყოველთვის წააგებ და დღევანდელი შედეგი სამართლიანია. მომავალ მატჩებში, იმედი მაქვს, რომ გაცილებით უკეთეს ლივერპულს ვიხილავ.

იუმორი

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– თქვენთვის ორი ამბავი მაქვს სათქმელი, კარგი და ცუდი, რომლით დავიწყო?
– კარგით.
– შეგიძლიათ პენსიაზე გასვლაზე აღარ ინერვიულოთ...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– ამ ადამიანს ხედავ ფოტოსურათზე?
– ჰო, ვხედავ.
– საღამოს ექვს საათზე საბავშვო ბაღიდან გამოიყვან!

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:
– გათხოვილი ხართ?
– არა.
– რატომ?
– რა ვიცი, გასინჯვით მსინჯავენ, მაქებენ, მაგრამ ცოლად არ მივყავარ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ბიჭო, მიდი, რა, ძმურად ჩემს სიდედრს დახვდი სადგურზე და 10 დოლარს მოგცემ, მე არ მცალია.
– კი წავალ, მაგრამ, რომ არ ჩამოვიდეს?
– მაშინ 100 დოლარს გაჩუქებ.

●●●

მიხოს სიდედრი უკვდება, თვალები გადმოკარკლა, პირიდან დუჟი გადმოსდის, ერთი სიტყვით, ქალი აგონიაშია.
მიხო გავარდა, მიდგა-მოდგა, იქ კუბოს შეკვეთა მისცა, ქელეხისთვის დარბაზი დაიქირავა, სურათი წაიღო გასადიდებლად. საღამოს სახლში დაბრუნებულს სიდედრი კარგად დახვდა.
– გადავრჩი, მგონი, შვილო, – ეუბნება სიდედრი.
– მე არ ვიცი, სულ ფეხებზე მკიდია. ხალხი უკვე დაპატიჟებულია, შეკვეთა მიცემულია, ხუთშაბათს სამ საათზე გასვენებაა.

●●●

გამომძიებელი მამაკაცს ეკითხება:
– დაინახეთ, როგორ ახრჩობდა თქვენს სიდედრს დამნაშავე?
– დიახ, დავინახე.
– მერე, რატომ არ მიეხმარეთ?
– თავიდან ვფიქრობდი, მივხმარებოდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მარტოც მოერეოდა

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

რონალდინიომ ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება ურჩია

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რონალდინიომ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ნეიმარი ბარსელონიდან არ უნდა წასულიყო, თუმცა რონალდინიომ აღნიშნა, რომ ის პატივს სცემს ნეიმარის გადაწყვეტილებას.

– ჩემი აზრით, ნეიმარს შეეძლო, ბარსელონის ლეგენდა გამხდარიყო, მაგრამ ის პსჟ-ში ბედნიერია და მიხარია, როცა ჩემი მეგობრები ბედნიერები არიან. კარგი იქნება, თუ ნეიმარი ბარსელონაში დაბრუნდება, მაგრამ ჯერჯერობით ეს შეუძლებელია, – განაცხადა რონალდინიომ.

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ფერნანდო ვერდასკო დაამარცხა

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა შანხაის ტურნირის მერვედფინალში ფერნანდო ვერდასკო დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა.

ბასილაშვილმა მეტოქეს ორ სეტში სძლია ანგარიშით 6:4, 7:6.

შანხაის ტურნირი საკმაოდ პრესტიჟულია და მეოთხედფინალში თამაში უკვე კარგი შედეგია, თუმცა ნიკა, სავარაუდოდ, ამით არ დაკმაყოფილდება.

ბასილაშვილი მეოთხედფინალში ალექსანდრ ზვერევისა და მალეკ ჯაზირის წყვილის გამარჯვებულს შეხვდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ძველად სატუსაღო, შემდგომ იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 2. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული ნაერთი; 3. ქიმიური ინდიკატორი; 4. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 5. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 6. მდინარე ამსტერდამში; 9. სამთო ინჟინერი; 10. კავალერიის ქვედანაყოფი ძველად; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 14. რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 16. სატანვარჯიშო იარაღი; 18. უღელტეხილი კავკასიონზე; 20. მოხალისეთა ჯარი; 23. ფრანგი მეზღაპრე; 24. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 25. ლირიკული ხასიათის ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი.

თარაზულად: 7. პირფერული ქება, კომპლიმენტი; 8. უკიდურესი გატაცება რომელიმე რწმენით; 12. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 13. ტვირთბუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 15. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 17. კათოლიკური ეკლესიის მცველი, მეთვალყურე; 19. ისტორიული ებრაული სახელმწიფო; 21. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. კომბინაცია პრეფერანსში; 27. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე; 28. წარმოებაში, რაიმე სახელოსნო საქმიანობაში გამოყენებული დამხმარე მასალა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა